ცნობის ფურცელი

№ 2041 ხუთშაბათი, 16 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2041

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (კავშირის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ამ ნომერში ექვსი გვერდია

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-84 №-რი.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.
საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.
საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**" მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წინად გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციის სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს „მოამბე"-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ბანკის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".

მასაჟის კურსები

გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და **გიმნასტიკა ავადმყოფობისა**, (ტეხნიკა-ჩვენებანი) დ—რი სობოლევსკი. **საზოგადო პატალოგია: ანატომია**, დ—რი ა. გ. მაღალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოიძე.—საშარდე (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. ე. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. გ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, **№-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).**

ტელეფონი № 274 (წ.)

წარმოდგენა მე-30. ტელეფონი 617

◆ საქველმოქმედო წარმოდგენა ◆

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, 1903 წელს

ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

გრიგალი

დრამა 4 მოქ. სმირნოვისა, თარგ. ივანიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „**მედანიას თინეზი**" (ნ.გაბ.-ცაგარლის საბენეფისოდ). „**ჩაფხილი სახლი**", „**სიძე სიმამრი**", „**დანგრეული კერა**", „**ნორა**" „**ორი ძარბაჟი**".

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წო.)

დღევანდელ წარმოდგენის გამო

კარგა ხანია სამწუხარო ამბები მოდიოდა ქუთაისიდან, რომ ჩვენის სცენის დამამშვენებელი არტისტი ვლ. მესხიშვილი ავად არისო; უკანასკნელმა დეპეშამ კი გვაცნობა, რომ ეხლა მძიმედ გამხდარა ავად და მისი ავადმყოფობა სერიოზულს მოვლასა და ექიმობას მოითხოვს.

მესხიშვილისთვის საჭიროა ყელის ოპერაცია; ოპერაცია და ექიმობა დიდი ხანია საჭირო იყო, მაგრამ უსახსრობისა გამო არტისტმა არა თუ ვერ შესძლო ოპერაციის გაკეთება, იგი, ავადმყოფი, იძულებული იყო ეთამაშნა სცენაზე, მიუხედავად ექიმების აკრძალვისა, და ამით მოეპოვა ლუკმა პური როგორც საკუთარის თავის, ისე ოჯახისათვის. ყველამ კარგად იცის, თუ რა მწარე ლუკმაა ჩვენებურ არტისტის ლუკმა; ეს ლუკმა კიდევ უფრო უმწარდება, კიდევ უფრო ძნელად საშოვნელი შეიქმნება იმისთვის, როდესაც დაღლილს, დაქანცულს, ავადმყოფს აღარ შეეძლება სცენაზე თამაში.

ჩვენის არტისტების ქონებრივი უზრუნველყოფობა მეტად მძიმე და სერიოზული საკითხია და საზოგადოებამ უნდა გადასწყვიტოს იგი. ეხლა სავალდებულოდ ხდება უბრალო მუშების დაზღვევა სიკვდილისა, ავადმყოფობისა და ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან და ნუ თუ ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ჩვენის სცენის მოღვაწეების ბეჩავ მდგომარეობას, უნდა ვიყვნეთ ყოვლად უმადურნი და მცირედითაც არის არ გადავუხადოთ მათ თავ-განწირულობისა და მუდამ მოუსვენარის, ყოველგვარ შევიწროებით სავსე, მაგრამ მაინც მხნე და ყოველ დღე უფრო და უფრო ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის, რომელიც მიუძღვით მათ ჩვენის ქვეყნის კულტურულ ზრდის წინაშე? ნუ თუ არ უნდა შევასრულოთ უბრალო ადამიანური მოვალეობა იმათ წინაშე, რომელნიც აღძრავენ ჩვენში უმაღლეს გრძნობებს, გვაგრძნობინებენ უდიადეს სიამოვნებას და მცირე დროით მაინც გაგვმსჭვალავენ ადამიანურის ფიქრებითა და გრძნობებით, თუ საზოგადოთ ჩვენი ცხოვრება სრულიად მოკლებულია ასეთ ფიქრებსა და გრძნობებს?

ეს საზოგადო საგანია, მაგრამ ამ ჟამად ჩვენს წინაშე სდგას კერძო საკითხი. ჩვენის თეატრის სახელი, ნაყოფიერი მუშაკი ქართულის სცენისა ავად არის, მძიმედ ავად და საზოგადოებამ ყოველ მხრიდან, ყოველმა წევრმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინოს დახმარება. ეს დახმარება ჩვენის ვალის გადახდაა. აქ ფიქრი, დაობა, სხვა-და-სხვაობა, გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. ვლ. მესხიშვილი ავად არის, ეს საერთო გასაჭირია, საერთო მწუხარება და მოითხოვს ყველას ღონისძიების შეერთებას.

ქართულის თეატრის სახელი განუშორებელია და განუყოფელი ვლ. მესხიშვილის სახელისაგან. ვისაც უყვარს ქართული თეატრი, იმას არ შეუძლიან არ უყვარდეს ლადო მესხიშვილი, ვისაც უნახავს იგი, არასოდეს არ დაივიწყებს მის შესანიშნავს თამაშს, მის ნიჭს, მის დამონებას მაყურებლებისას, მის მიერ დახატულის გრძნობებით აღტაცებას. ლადო მესხიშვილი ჩვენის საზოგადოების საუკეთესო მასწავლებელია, აღმზრდელი ჩვენის ახალგაზდობისა. ვერაფერი ვერ ამოფხვრის იმ აზრებს და გრძნობებს, რომელნიც იმას ჩაუნერგავს ჩვენს გულში, ვერავინ ვერ შეგვაყვარებს ისე სიკეთეს და მუდამ სულიერ ამაღლებისაკენ მისწრაფებას, ვერავინ ვერ აღგვიძრავს ისე ზიზღს ზნეობრივ სილატაკისა, საზოგადოებრივ გათახსირებისა და მონურ, დახშულ ჰაერის და სამარის სიჩუმით მოცულ ცხოვრებისადმი, როგორც ეს შესაძლებელი იყო და იმედია, კვლავაც არა ერთხელ შესაძლებელი იქნება ლადო მესხიშვილისათვის!

დღეს ამ ძვირფასის ადამიანის სასარგებლოდ წარმოდგენა იმართება ქართულ თეატრში. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი საზოგადოება მრავლად დაესწრება წარმოდგენას და ამით მაინც გადაიხდის იმ დიდ ვალს, რომელიც ნიჭიერ მსახიობისა და მასწავლებლის წინაშე მიუძღვის.

გალამი.

ჭიათურელთა კრება

I

ქართულ თეატრს რომ დრო გამოშვებით მაინც იმდენი ხალხი ესწრებოდეს, რამდენიც დღეს ჭიათურის მარგანეცის საქმეს შეუკრებია ქუთაისის თეატრის დარბაზში, ქართველ აქტიორის ბედი საშურველი იქნებოდა. მთელი შორაპანი, ჭიათურა, საჩხერე და ყვირილა ქუთაისს გადმოსახლებულა. როგორც ქართულ წარმოდგენაზე, დღესაც ქანდარელები სჯარბობენ პარტერელებს. ესეც დროის ნიშანია...

ქუთათურ მანდილოსნებს ნულარ იკითხავთ—ყველა ლოჟები და ქანდარის ერთი წილი მათ დაუსაკუთრებიათ და საკვირველის მოთმინებითა და გულმოდგინებით უგდებენ ყურს თუ... უცქერიან საქმეთა განხილვას. ნუ თუ ესეც დროის ნიშანია? რას ამბობო, მეუბნება ერთი ადგილობრივი მეფისტოფელი; ქუთაისის კრება-არჩევნები და ქუთათური მანდილოსნები იმ თავითვე დიდი მეგობრები იყვნენო...

ჭიათურელთა კრება სხვა ჩვენებურ კრებას არა ჰგავს თავის შემადგენელ ნაწილებით; ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს: ევროპიელი კაპიტალისტი და გამოწკეპილი იმერელი აზნაური, მღვდელი და ტიპიური „ინჟენერი", ქუთათური ინტელიგენტი და ჩვენებური „ბურჟუა", ჩუბინიძის ჯიშისა, მრეწველად გამხდარი თავადი და სხვა და სხვა. აქვეა მოუსვენარი, „უმწიკვლო და უშიშარი რაინდი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა" სიმონ ქვარიანი.

კრების თავმჯდომარე (ინჟენერი ცეიტლინი) შეიძლება ძალიან კარგი ინჟენერი იყოს, მაგრამ თავმჯდომარეობისა და კამათის ხელმძღვანელობის სრულებით არაფერი გაეგება; ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს: ვსთქვათ ჭიათურაში სკოლის დაარსების საქმეა განსახილველი; თამამად შეგიძლიათ პედაგოგიკის განვითარების მთელი ისტორია მოჰყვეთ უძველეს დროიდან დაწყებული და საგანს კი სრულებით არ შეეხოთ; თავმჯდომარე მოთმინებით გიგდებთ ყურს და შემდეგ სხვას აძლევს ასეთისავე ლაპარაკის ნებას. ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად საქმიანად იხარჯება დრო ასეთ თავმჯდომარის მეოხებით.

ჯერ მხოლოდ ერთ სხდომას დავესწარი და მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება გამოვიტანე: ვეჭვობ, რომ მარგანეცის მრეწველთა ამ მეხუთე კრებას სასურველი სერიოზული შედეგი მოჰყვეს და ამის მიზეზი უმთავრესად პარტიათა ურთიერთი დამოკიდებულებაა: იმდენად გამწვავებულია ეს დამოკი-

დებულება, იმდენად გაუტაცნიათ პარტიები ერთმანეთის დამცირებისა და განადგურების ბრმა გულისთქმას, რომ თვითონ საქმეს, რომლისთვისაც შეკრებილან, ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. არავითარი ნდობა და პატივისცემა ერთმანეთისა; ეს კიდევ ცოტაა—11 იანვრის კრებაზე თ. ლეონიძე ემუქრებოდა საბჭოს რჩევის თავმჯდომარეს: აქ არა და სხვაგან მე ვიცი, როგორ გაგისწორდებიო.

პარტიათა ბრძოლის ასეთი პირობები, კრების ასეთი წევრები კრების ნაყოფიერებას ხელს ვერ შეუწყობენ. თუ ეგრე გაგრძელდა, თვით საქმე და საქმეში დაინტერესებულ პირების ინტერესი დაჩაგრული დარჩება. მარწმუნებენ, უარესი გამწვავებაა მოსალოდნელიო. და ეს კი საკუთარის ხელით ყელის გამოჭრაა.

გარიში.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ირლანდიის საპარლამენტო პარტიის მეთაურმა **ჯონ** რედმონდმა სიტყვა წარმოსთქვა ნადიმის დროს. ეს ნადიმი ირლანდიის შეერთებულ ლიგის შოტლანდიის განყოფილებამ რედმონდის პატივსაცემლად გამართა.

ირლანდიელების მეთაურმა სთქვა: ამ ჟამად იმედი მოგვეცა, რომ ირლანდიის საქმე კარგად წავიდეს (ტაშის ცემა), თუმცა კი მაინცა და მაინც ნამეტანი დიდი იმედიც არ უნდა გვქონდეს, რადგანაც ირლანდიას ცოტა სხვანაირი ბედი აქვს (სიცილი). სერიოზული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოკლე ხანში დიდი საადგილ-მამულო რეფორმა ასრულდეს. ეს რეფორმა ასის წლის იარებს მოარჩენს და ირლანდიის ხალხს შეაძლებინებს თავის საკუთარ მამულში მშვიდობიანობითა და კეთილ-დღეობით დასტკბეს (ძლიერი ტაშის ცემაა). ამას წინად დუბლინში ლენდ-ლორდებმა და არენდატორებმა კონფერენცია მოახდინეს და ეხლანდელ მთავრობას ირლანდიის საქმის გადაწყვეტა გაუადვილეს. ეგ კია, რომ კონფერენციის დადგენილებათა წინააღმდეგ ბევრ საფუძლიან რამეს ამბობენ. ზოგნი ამბობენ, არენდატორებმა მეტის-მეტად ბევრი დაუთმეს ლენდ-ლორდებსაო; ზოგნი კიდევ იმ აზრისანი არიან, რომ კონფერენციამ მეტად ბევრი ხარჯი დაადო სახელმწიფო ხაზინასაო. მაგრამ, ჩემის ფიქრით, არენდატორებს არც თუ იმდენი დაუთმიათ; ოღონდ მშვიდობიანობა დამყარდეს ირლანდიაში და ეს დათმობა არაა დასანანებელი. სახელმწიფოს ხაზინის ხარჯზე კიდევ იმ აზრისა ვარ, რომ რეფორმისათვის საჭირო ფულს მეტად აზვიადებენ. ჩემის აზრით, ყოველ წელს ერთი ორად ნაკლები ფული მოუნდება ამ რეფორმას, სინამ სამხრეთ-აფრიკის ომს ყოველკვირა სჭირდებოდა (ტაშის-ცემა). ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ფული მალე მეტობით ადგება, რადგან საადგილ-მამულო რეფორმის შემდეგ ხაზინას გაცილებით ნაკლები ხარჯი დასჭირდება ირლანდიის ადმინისტრაციის შესანახად (ტაშის-ცემა). არც ის უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ბრიტანიის ხაზინა მოვალეა, ირლანდიელებს შეეწეობა გაუწიოს, რადგან დიდ-ბრიტანიას ირლანდიის ვალი აძევს: ირლანდიის საადგილ-მამულო საქმის არეული ყოფა სულ დიდი-ბრიტანიის ბრალია. სრულებით არ ვეთანხმები იმათ, ვინც ფიქრობენ, ვითომ საადგილ-მამულო რეფორმის შესრულება ნიადაგს გამოაცლის ჰომრულსაო. პირიქით, მგონია, ეს რეფორმა უკანასკნელ დაბრკოლებასაც აცილებს თავიდან ჰომრულს (ტაშის-ცემა).

საფრანგეთი. 6 იანვარს დეპუტატთა პალატა 1903 წლის ბიუჯეტის საზოგადო განხილვას შეუდგა. პირველად ნაციონალისტმა დეპუტატმა მასაბიუომ ილაპარაკა. მასაბიუო ამტკიცებდა უკანასკნელ წლების დეფიციტი ვალდეკ-რუსოსა და კომბის სამინისტროების ანტიკლერიკალურ პოლიტიკის ბრალიაო. ამის შემდეგ პალატის პრეზიდენტად ნამყოფი დეშანელი წამოდგა და საგარეო პოლიტიკაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ორატორის სიტყვას პალატა დიდის ყურადღებით ისმენდა, რადგან ხმა დადის, დეშანელი ცალკე დამოუკიდებელ დასის შედგენას აპირებსო. დეშანელმა პატრიოტულ კილოზე ილაპარაკა: უმთავრესად რევანშის იდეიას იცავდა და ჟორესის აზრებს არღვევდა. ორატორმა სთქვა:

„რასაკვირველია, მშვიდობიანობა ძლიერ სასურველია, მაგრამ მშვიდობიანობის გულისათვის ჩვენი გულითადი საიდუმლო იმედები კი არ უნდა უარვყოთ. ჩვენში ისეთი ახალი დასი გაჩნდა, რომელიც დომხალივით ურევს ყველა აზრებს, როცა კი ლაპარაკი საგარეო პოლიტიკაზე ჩამოვარდება ხოლმე. ეს დასი ამბობს, გამბეტას განთქმული სიტყვები: „ყოველთვის ვფიქრობდეთ, მაგრამ ხმას კი არას დროს არ უნდა ვიღებდეთ მაგაზე (რევანშზე)“—დავიწყებას მივცეთო. ეს დასი ჩვენის დიდებულის ერის უძვირფასესს გრძნობებს შეურაცხჰყოფს; ჩვენი ერი უფლების საუკუნო პრინციპებს ყოველთვის მაღლა აყენებს ორატორების რიხიანად და ლამაზად ნათქვამ სიტყვებზე (პალატის უმეტესობა ტაშს-უკრავს). ამ ახირებულ დასის წარმომადგენლები მეტად კარგის თვალით უცქერიან სამთა კავშირს, ორთა კავშირს კი სასტიკად ჰკიცხავენ. რასაკვირველია, ყველას ეხსომება ჟორესის ნათქვამი: „სამთა-კავშირი—საფრანგეთის შოვინიზმმა და ფრანგ რუსთა ოცნებამ გამოიწვიაო“ (ტაშის-ცემა და საყვედური). „დასასრულ დეშანელმა ზომიერ რესპუბლიკელებს მიჰმართა და სთხოვა, რეაქციონერებსაც და რევოლიუციონერებსაც, ყველას ერთნაირად ვებრძოლოთო.

შეერთებული შტატები. ზანგების მტრები არა სცხრებიან. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება: სამხრეთ კაროლინის საკანონმდებლო კრებამ 3 იანვარს რეზოლიუცია დაადგინა და სასტიკად გაჰკიცხა პრეზიდენტი რუზველტი იმაზე, რომ პრეზიდენტმა „უსამართლოდა და საზოგადოების აზრის წინააღმდეგ ჩარლსტონში ტამოჟნის დირექტორად ზანგი კრუმი დანიშნაო“. საკონონ-მდებლო კრება დიდ პროტესტს აცხადებს პრეზიდენტის უსამართლო განკარგულების წინააღმდეგაო. გიორგის შტატის საკანონ-მდებლო კრებამაც ამნაირივე რეზოლიუცია მიიღო.

ახალი ამბავი

◆ 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებელ **წმ. ნინოს** ხსენების დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. ტაძარში დიდ-ძალი მლოცველი იყო.

იმავე დღეს სადღესასწაულო წირვა გადიხადა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ. წირვისა და პარაკლისის შემდეგ გაიმართა სასწავლებლის წლიური აქტი. წირვასა და აქტს დაესწრნენ საგუბერნიო ადმინისტრაციისა და სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელნი და აგრეთვე დიდი საზოგადოება. საღამოს სასწავლებელში გაიმართა საცეკვაო საღამო.

◆ გუშინ, 15 იანვარს, ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში თავ. ვ. ს. მიქელაძის თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადო **კრება ბანკის პირველი ჯგუფის მსესხებლებისა** მომავალ სამის წლისათვის 35 რწმუნებულის ამოსარჩევად. კრებაზე ძლივს გაჭირვებით 8 კაცი გამოცხადდა. ხმის უმეტესობით პირველ ხარისხის მსესხებელთა რწმუნებულებად ამორჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი:

გაბაშვილი გ. დ., სუმბათაშვილი დ. ა., ჭიჭინაძე თავ. ი. გ., მიქელაძე თავ. ვ. ს., ჯანდიერი თავ. დ. გ., ბერიძაშვილი ა., მამაცაშვილი ქ. ი., სარაჯიშვილი დ. ზ., არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. გ. ი., უგანათ. თავ. გრუზინსკი, მიხ. ა., თაიროვი ივ. ა., არღუთინსკი-დოლგორუკოვი გ. ა., ამილახვარი თავ. ი. გ., ქართველიშვილი ნ. გ., ფირაქაშვილი ა. ი., ფურცელაძე ა. ნ., სავარელიძე გ. ბ., თუღაშვილი ი. გ., ცხვედაძე ნ. ზ., ზუბალაშვილი ი. ე., გაბაშვილი გ. დ., ისარლიშვილი ი. პ., მიტკევიჩი ა. ი., თოფურია ს. ბ., ციციშვილი თავ. გ. გ., აბაშიძე გ. ი., გრუზინსკი უგანათ. თავ. პ. ა., ფრიდონოვი ა. თ., ფურცელაძე ი., სავანელი ა. ი., თუმანიშვილი თავ. ნ. ა., სუმბათაშვილი ი. მ., ისიპოვი ა. ი., ანდრონიკაშვილი ი. დ. და ყიფიანი გ. რ. კრებაზე არჩეულ იქმნა აგრეთვე 5 კანდიდატი რწმუნებულთა: ყიფიანი მ. ქ., მათვეევი ნ. ს., მაისურაძე ე. გ. ფირაქაშვილი ს. ი. და სტროევი პ. ი. კრება დასრულდა ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე. დღეს ბანკისავე სადგომში, დილის 11 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება ბანკის მეორე ჯგუფის მსესხებლებისა 35 რწმუნებულის ამოსარჩევად.

◆ ქართლ-კახეთის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველების სხდომამ 3 იანვარს, სხვათა შორის, განიხილა წინადადება იმის შესახებ, რომ **გაუქმდეს** სასულიერო სასწავლებლებთან დაარსებული **სამი მოსამზადებელი კლასი**. წინადადებას აღმძვრელი მით ასაბუთებდა თვის მოხსენებას, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებს შეუძლიანთ მოამზადონ ყმაწვილები სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასისათვის და როცა ამ ნაირად იქნება დაყენებული საქმე, სამრევლო სკოლების ზედამხედველ-მასწავლებელნი მეტის თავდადებით შეუდგებიან მოსწავლეთა აღზრდის საქმეს; გარდა ამისა სასულიერო წოდებას ის ფულიც შერჩება, რომელიც ეხლა მოსამზადებელ კლასების შესანახად იხარჯებაო. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ უარჰყო ეს წინადადება. ამავე სხდომაზე აღიძრა საკითხი, რომ სასულიერო მასწავლებელთათვისაც ისე მოეწყოს პანსიონი, როგორც ეს სასულიერო სემინარიაშია, რადგანაც სასწავლებლის მთავრობას ახლა კავშირი ექნება მოსწავლეთა აღზრდის საქმესთან და ამ მხრით მეტი ნაყოფიერი შედეგიც იქნებაო. სხდომამ, კარგა ხანს მსჯელობის შემდეგ, გამოსთქვა სურვილი, რომ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა თავ-შესაფარი თვით სასწავლებელთან ისე მოეწყოს, როგორც ეს სასულიერო სემინარიაში არისო.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებს კავკასიაში ქაღალდი მოჰსვლიათ სატყეო დეპარტამენტისაგან, რომელიც ეკითხება: **რა მიზეზია, ადგილობრივი გლეხობა რომ ასე ეტანება ტყეების გაჩეხვას** და დანიშნულ ჯარიმებსაც არ უშინდებაო.

მართალია, ტყის გაჩეხვისათვის დიდი ჯარიმა ხდება ჩვენს სოფლელს, სასამართლოები სავსეა ამისთანა საქმეების გამო შედგენილის ოქმებითა და რამდენიმე ასი ათასი მანეთი შეუდის ხაზინას ამ ჯარიმებისაგან, მაგრამ ტყის გაჩეხვა მაინც არ მოიშალა, რადგან გლეხი მეტად შევიწროებულია ტყის უქონლობითა და ადგილების სივიწროვით. ხშირად სანადელო ადგილი გლეხს შიგ სახაზინო ტყეში აქვს მოჭრილი, მერე იმდენი, რომ არც-კი ჰყოფნის. რა თქმა უნდა, გლეხი ამ ადგილის გარშემო ტყეს ჰკაფავს ჯერ იმისათვის, რომ საზრდოს მოსაყვანი ადგილი გააფართოვოს და მერე—აუცილებლად საჭირო მასალაც გაიტანოს, რადგან სხვა გზით თავისი მდგომარეობა ვერ მოუგვარებია.

სატყეო დეპარტამენტის განკარგულება ფრიად საგულისხმიერო ცნობების შეკრებვას და გამოაშკარავებას გამოიწვევს, თუ საქმის ვითარებას კეთილსინიდისიერად მოჰკიდეს ხელი.

◆ **ერევნის გზაზე** მომხდარ უბედურების შესახებ ვწერდით, რომ მოკვდა ერთი კონდუქტორიო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, 13 იანვარს დამტვრეულ ვაგონებს ქვეშ უნახავთ გვამი მეორე კაცისა. მოკლული ლეკი ყოფილა ჩიჩა-მაჰმედ-ოღლი.

◆ საკომერციო სასწავლებელთა ოლქის უფროსი ბ-ნი ფიშერი ფინანსთა მინისტრს დეპეშით დაუბარებია პეტერბურგს საქმეებისა გამო.

ფელეტონი

სიტყვა კაზმული მწერლობა 1902 წელს

გაგრძელება*)

გასულს წელს „მოამბის“ კაზმული მწერლობა საერთოდ ფრიად სუსტი და უშინაარსო იყო. ამ ჟურნალის მუდმივ თანამშრომელს, ბ. არაგვისპირელს, რომელსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება ყველა სხვა მწერალზე მეტის ინტერესით ადევნებს თვალყურს, არაფერი თვალსაჩინო და ღირს-საყურადღებო არ დაუწერია. ზოგიერთი მისი შარშანდელი ნაწერი, მაგალითად, ეტიუდი „ანტონ ზურაბიჩ“, ყოველივე შინაარსს და აზრს მოკლებულია; ამ ეტიუდზე რომ ბ. არაგვისპირელს არ ეწეროს ხელი, მგონია, ის დასტამბვასაც ვერ ეღირსებოდა. მოთხრობას „მარიამი და ხატაურა“ შიგა და შიგ მოხდენილი, შნოიანი სურათები აქვს ჩართული, მაგრამ როგორც დასრულებულს ნაწარმოებს ბევრი ნაკლი აქვს და იმის ავტორს მეტი მოეთხოვება. მოთხრობა „კურცხალია და ხატი“ არაგვისპირელის ყველა შარშანდელს ნაწერებს სჯობია; ეს ავტორისაგან გაგონილი ამბავი ტიპიური სახალხო თქმულებაა და ცოცხლად ახასიათებს მეგრელებს.

ჩვენმა მოცალინე ბელლეტრისტმა ბ. ბარნოვმა მოხდენილად დაიწყო თავისი პატარა მოთხრობა „დაეწაფა სურვილით“, მაგრამ კვალი ვერ გაადევნა და ბოლოში ჩაამწარა. ამ მოთხრობის შინაარსს სიყვარულის თავიდანვე ჩატეხილი ხიდი შეადგენს. მოხდენილს, შნოიანს გლეხის ქალს, ბაბუცას, ილო უყვარს, მაგრამ იმედი კი არა აქვს, რომ ეს სიყვარული როდისმე იმის გულს გასცილდეს და თანაგრძნობა მოიპოვოს. ილო სასწავლებელში სწავლობს, დღეს-ხვალ სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში გაემგზავრება და აბა რად იკადრებს, რად მოინდომებს ბაბუცას სიყვარულს—ასე ჰფიქრობს გლეხის ქალი. მართალია, ბაბუცა და ილო ერთად გაიზარდნენ, ილოს დედა ბაბუცასაც აწოვებდა ძუძუს, ილო თითონ ეტყოდა ხოლმე ქალს, არასოდეს არ დაგივიწყებ, ყოველთვის მეყვარებიო, მაგრამ, ბაბუცას ფიქრით, ის და-ძმურს სიყვარულზე ამბობდა და არა იმ გრძნობაზე, რომელმაც მთლად დაიმონავა ბაბუცას არსება. როგორც მკითხველი ჰხედავს, მოთხრობისათვის ბ. ბარნოვს საუცხოვო ნიადაგი გამოუძებნია. წოდებრივი ან კლასსებრივი განხეთქილება ისე მკაფიოდ, გარკვევით და გონივრულად არაფრით არ დასურათდება, როგორც იმ ბრძოლით, რომელსაც სიყვარულის შემაერთებელი ძალა აუტეხს ხოლმე წოდებრივს კერძოობას და კარჩაკეტილობას. სამწუხაროდ, ბ. ბარნოვმა მთელი თავისი ყურადღება გლეხის ქალს, ბაბუცას, მიაპყრა და სრულიად უყურადღებოდ დასტოვა ილო. ნამდვილად კი სწორედ ილოს სულიერ ვითარების მთლიანად გადაშლა შეიძლებოდა ამ ნიადაგზე მკითხველის წინაშე, რადგანაც იმის გრძნობას უნდა გადაჰღობებოდა წინ საზოგადო ბრივი ზნე-ჩვეულებანი, წოდებრივი სიამაყე, ნათესავების რჩევა-დარიგება და ყველა ის, რაც ებრძვის პიროვნულ თავისუფლებას. ბ. ბარნოვი თითქოს ჰგრძნობს, რომ ამ ბრძოლის დასურათება აუცილებელი და უმთავრესი ნაწილი უნდა იყოს მისგან განზრახულის მოთხრობისა, მაგრამ განგებ გაურბის ამ საგანს. რა წოდებისა იყო ილო და როგორ უყურებდა ბაბოს სიყვარულს—ამასაც კი მხოლოდ გაკვრით, ორიოდე სიტყვით გვამცნობს ავტორი. „ილომ ბინდ-ბუნდად იგრძნო ქალის სევდა, ქალის გულის კვნესამ იმასაც გული ატკინა. დაიფანტა ახალგაზრდა, გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩავარდა“. მთელს მოთხრობაში მხოლოდ ეს ორიოდე სიტყვაა ნათქვამი ილოს განწყობილების შესახებ. უიმედო სიყვარულით შეპყრობილმა ბაბუცამ თავისი გრძნობა გულში ჩაიხვია, გაუმჟღავნებელმა სიყვარულმა ყმაწვილი ქალი დაასევდიანა და გააბოროტა. ბაბუცას დედამ თავისებურად ახსნა ქალის მოწყენილობა და გათხოვება დაუპირა. ბევრი იუარა ბაბუცამ, მაგრამ ბოლოს მაინც მისთხოვდა ერთს გლეხს. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ მოეწყვნენ, ბაბუცამ ხითვალწუნა თავისი ქმარი და შეიძულა. თითქოს ის იყოსო იმის სიყვარულის, უიმედობის და უიღბლობის მიზეზი—ისე მკვახედ და უკმეხად ეპყრობოდა ქმარს.

---

*) წინა ფელეტონში მოთავსებულის შენიშვნებით შესახებ მოთხრობისა „შაქროს აღსარება“ უკმაყოფილოდ დარჩენილა მისი ავტორი, ბ. ეკალაძე, რომელიც მწერს, რომ „კვალში“ სხვა-და-სხვა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო მოთხრობისა მხოლოდ ერთი ნაწილი დასტამბა, რაც გამოცხადებული იყო „კვალის“ 23 ნოემბრის №-შიო. „ამის შემდეგო, დასძენს ბ. ეკალაძე, მეტია მოგახსენოთ, რომ თქვენი მსჯელობა ამ შემთხვევაში სრულიად უნიადაგოა“. ჩვენ მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს ვაუწყოთ მკითხველებს ბ. ეკალაძის უკმაყოფილება და აგრეთვე ის, რომ, როგორც ავტორი ამბობს, „კვალში“ მხოლოდ მოთხრობის უმცირესი ნაწილია დაბეჭდილი, და ბ. ეკალაძის დასაკმაყოფილებლად ვაღიარებ, რომ მხედველობაში მე მხოლოდ „შაქროს აღსარების“ გამ ქვეყნებული ნაწილი მქონდა და რაც შეეხება იმ ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულ არ იქმნა, ძალიან შესაძლოა, რომ კარგი იყოს და აცსებდეს იმ ნაკლს, რომელიც აღნიშნულ იქმნა ჩემს წინა ფელეტონში. ზანგი

◆ რამდენისამე დღის წინად ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებს** კერძო მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა სამმართველოში ბევრი საჭირო საქმეებია, რომელთა დასრულებას არაფერი ეშველა; ყველა ეს იმის მიზეზია, რომ მოქალაქეთა მოურავს არ შეუძლია ასეთ რთულს საკითხებს თავი გაართვას, თუ რაიმე ღონისძიება არ ვიხმარეთო. თუმცა მოქალაქეთა მოურავმა განაცხადა, რომ სამსახურს თავს ვანებებო, მაგრამ დღევანდლამდე თავისი განზრახვა არც განახორციელა და ჩვენც უხერხულ მდგომარეობაში ვართ, არ ვიცით, როგორც შამოუაროთ საზოგადო საქმესაო. კარგა ხანს კამათის შემდეგ რწმუნებულთა კერძო კრება შემდეგ მოსაზრებას დაადგა: რადგანაც ეხლანდელ მოურავის ბულდანოვის მიზეზით მოქალაქეთა სამმართველოს საქმეები სასურველად ვერ მიდის, რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე აღვძრათ საკითხი, რომ ეთხოვოს ბულდანოვს შეასრულოს თავისი დაპირება და სამსახურს თავი დაანებოსო.

◆ 14 იანვარს **შეერთებული კრება** ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობასა და ხორცის დუქნებისა და ნიხრის დამწესებელ კომისიებს. კრებამ გადასწყვიტა: 1) გააძლიერონ ხორცის დუქნების მოქმედება, რისთვის უნდა ეთხოვოს საბჭოს გადასდოს სამოქმედო თანხისთვის დამატებითი ფული, რამდენიც ხარჯთ-აღრიცხვაში იქმნება აღნიშნული; ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდო დუქნების გამგეს ნ. ა. ალიხანოვს; 2) ნიხრის გამოსაკვლევად დაჰკლას საქონელი და გაიგოს რა დაჯდება.

◆ ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ჩერქეზიშვილის თანადასწრებით, გუშინ 40 სული **საქონელი საცდელად დაჰკლეს** ქალაქის საყასბოზე, რომ შეიტყონ, რამდენად ჯდება ამ ჟამად ხორცი. ჯერ არ უანგარიშნიათ დაწვრილებით; შეკრებილ ცნობებს ხვალვე მოახსენებენ ქალაქის გამგეობისა და ნიხრის გამგე კომისიის შეერთებულ სხდომათ.

◆ ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი აპირებს საბჭოსაგან ნება გამოითხოვოს, **ცალკე კაცი იქმნეს თავმჯდომარედ დანიშნული** ხორცზე და პურზე ნიხრის დამწესებელ კომისიაში, რადგან გამგეობის წევრთ მეტად ბევრი საქმე აქვთ და ვერ იცლიან ამ კომისიაში თავმჯდომარეობისათვისო.

◆ ქალაქის განაპირა ადგილებში ავლაბარზე რამდენიმე **მლაშე ტბაა**. გამოჩენილა მსურველი, რომელსაც ამ ტბებიდან გლაუბერის მარილის ამოღება განუზრახავს, და ქალაქსა სთხოვს ამის ნებას. ქალაქის გამგეობას ქიმიკოსს ბ-ნ ალიბეგოვისათვის მიუნდვია ამ ტბების ქიმიურად გამოკვლევა.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერს ბრძანება გაუცია ბოქაულებზე: გამოუცხადეთ სახლის პატრონებს, რომ 15 იანვრიდან **ხუთის დღის განმავლობაში ქუჩა-ტროტუარები** უნდა გასწმინდონ თოვლ-ტალახისაგან; ვინც ამას არ შეასრულებს დანიშნულ ვადაზე, უთუოდ პასუხის გებაში მიეცითო.

◆ თამამშევის ქარვასლის პატრონთ ტფილისში ამ **ქარვასლის ელექტრონით განათება** მოუსურვებიათ. ქალაქის გამგეობას ამის ნება მიუცია, მაგრამ იმ პირობით-კი, ქალაქსაც ცოტაოდენი სარგებლობა ჰქონდეს იმ მოგებიდან, რომელსაც ქარვასლის პატრონნი ამ საქმიდან მიიღებენ. ამას გარდა ერევნის მოედანი ოთხის ფარნით უნდა უსასყიდლოთ გაანათონო.

◆ სო. **ავჭალაში ხუნაგი** გაჩენილა. ტფილისის მაზრის ექიმი ბ-ნი კლიაჩინი წასულა იქ, რომ ავადმყოფებს შემწეობა აღმოუჩინოს.

◆ ტფილისის სახაზინო პალატის უფროსს უთხოვნია ქალაქის გამგეობასათვის, ექვსი კაცი აირჩიეთ იმ კომისიისათვის, რომელიც სადგომებზე სახელმწიფო გადასახადის გაწერის საქმეს განაგებსო.

◆ წარსულ 1902 წლის განმავლობაში ტფილისის ქალაქის საყასბოზე დაუკლავთ სულ სხვალი საქონელი 58,601, ხბო—6168, ღორი—22,108, ცხვარი—202,498 და ცხენი—5.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველად ნიშნავენ, როგორც ნამდვილ ცნობებიდან გავიგეთ, ამავე დაწესებულების მმართველის თანაშემწეს ბ. სნეგირიოვს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება.

◆ 13 იანვარს მომხდარ კრებაზე ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ქალაქის მოურავის მოადგილედ გამგეობის წევრი გ. ი. გველესიანი, (19 თეთ. და 7 შავი).

◆ ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ ქუთაისში წარმოდგენის გამართვას აპირებენ 26 იანვარს.

◆ 14 იანვარს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ კრებაზე არჩეულ იქნენ დამფასებელ კომისიის წევრებად თავ. ნიკ. დგებუაძე, თავ. ბონდო მიქელაძე, თავ. გიორგი დადიანი და ბ-ნი ვასილ თუმანიშვილი. მათ კანდიდატებად: თავ. სამსონ წულუკიძე, დიდიმ ჩიკვაიძე, ანტონ მეფისაშვილი და მიხეილ დიდია. სულ კენჭი უყარეს ათ კაცს. ძველ კომისიის წევრთაგან დარჩა მხოლოდ ნიკ. დგებუაძე.

◆ 14 იანვარს, საგუბერნიო ინჟინერის თავმჯდომარეობით, შესდგა სამეურნეო საჭიროებათა ქუთ. საგუბ. კომიტეტის საგზაო სექციის კრება, რომელმაც დაადგინა: შეცვლილ იქნას საგზაო ბეგარა (натуральн. дорож. пал. ფულის გადასახადით. სექციის გამონანგარიშებით, თვითეულ მაზრას შეხვდება გადასახადი წლიურად ასი-ათასი მანეთი. სექციამ საჭიროდ იცნო აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ამ ხარჯის ერთი ნაწილი გადაიხადოს მთავრობამ ნავთსადგურების შემოსავლიდან.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს დანიშნოს ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელე ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის საპედაგოგიო საბჭოში წარმომადგენლად, რომელსაც დავალებული ექნება თვალყური ადევნოს სკოლის საქმეების მიმდინარეობას. ხსენებული სკოლა არსებობს იმ წესდებით რა წესდებითაც არსებობს ტფილისის საბაღოსნო სკოლა და შეადგენს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საკუთრებას. საზოგადოებას თავის წევრთა შორის არჩეული ჰყავს სკოლის მზრუნველი დ. ნ. ბაქრაძე, რომელიც განაგებს სკოლის ყოველ გვარ საქმეებს. სამინისტროს თავის მხრივ დანიშნული ჰყავს ეხლანდელი მმართველი სკოლისა ბ. ლუბინეცკი. ასე, რომ სხვა მოხელის დანიშვნის საჭიროება საზოგადოების წევრებს ვერ გაუგიათ.

◆ აზოვ-დონის კომერციულ ბანკს გადაუწყვეტია ქუთაისში ამ ბანკის განყოფილება დააარსოს.

◆ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის წყლისაყვანის ამხანაგობას განზრახვა აქვს სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთდეს.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

11 იანვრის სხდომის გაგრძელება*)

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს: როგორც კამათიდან სჩანს, კრებას უნდა, რომ ეს კითხვა (შავი-ქვის სარეცხი ქარხნის დაარსება) გადაეცეს საბჭოს, რომელმაც სპეციალისტებთან ერთად დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს კითხვა და შემდეგ კრებას მოახსენოს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: უკეთესი იქნება, რომ კრებამ ეხლავე ამოირჩიოს კომისია.

ხმები: ეგ საბჭოს საქმეა; ვისაც საჭიროდ სცნობს, ის მოიწვიოს.

კრებამ დაადგინა: მიენდოს საბჭოს მოიწვიოს სპეციალისტთა კომისია და მოხსენების განხილვის შემდეგ თავისი მოხსენება წარუდგინოს საგანგებო კრებას.

კრება შეუდგა პროგრამის მეთვრამეტე მუხლის განხილვას; ეს მუხლი ეხება ჭიათურაში სახელოსნო სასწავლებლის დაარსებას. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ ნოვოსპასკის წარმოსთქვას თავისი აზრი ამ საგნის შესახებ.

ბ-ნი ნოვოსპასკი: ამ საგნის შესახებ მოხსენება არა მაქვს დაწერილი; არ ვიცი, რა უფრო აინტერესებს კრებას. ამიტომ გთხოვთ მიბრძანოთ და მე პასუხს მოგცემთ.

ბ-ნი ძაწენიძე: ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, საჭიროა, თუ არა ჭიათურაში სახელოსნო სასწავლებლის დაარსება, რამდენად სასარგებლო იქნება და რამდენი ხარჯი დასჭირდება.

გ. ფ. ზდანოვიჩი: საბჭოს მსჯელობა ჰქონდა ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ანგარიშით ასეთ სასწავლებელს ყოველ წლიურად დასჭირდება 4500 მანეთი. საბჭომ სთხოვა ბ-ნ დირექტორს, ისიც შეეტყობინებია, რამდენი ხარჯი დარჭირდება ასეთ სასწავლებელს, რომ მასთან სახელოსნო და ტეხნიკური განყოფილებაც ყოფილიყო, მაგრამ ამაზე პასუხი არ მიუღია. მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში საბჭომ შეიტანა სკოლისთვის 5000 მანეთი. გ. გუსტავის ძემ საბჭოს ერთი კეთილი მოსაზრება წარმოუდგინა, რომ უკეთესი იქმნება დაარსდეს ტეხნიკური სასწავლებელი, მით უმეტეს, რომ სამინისტრო ასეთ სასწავლებლის დაარსებას კერძო პირთაც არ უშლის.

ბ-ნი ნოვოსპასკი: 1872 წლის დებულებით საქალაქო სასწავლებლები სამგვარია: სამკლასიანი, ოთხ-კლასიანი და ექვს-კლასიანი. პირველს სჭირდება ყოველ-წლიური ხარჯი 4,000 მან., მეორეს 5000 მან. და მესამეს—6,000, ან ცოტა მეტი. საქალაქო სასწავლებელს მთავრობიდან შემწეობაც ეძლევა 1000 მანეთიდან, 2000 მანეთამდის. ასე რომ—თუ კრება საქალაქო სასწავლებლის დაარსებას ისურვებს, შეუძლია ეს შემწეობაც მიიღოს. საქალაქო სასწავლებელთან შეიძლება სახელოსნო განყოფილებაც გაიხსნას, მხოლოდ არ შემიძლია დანამდვილებით ვსთქვა, როგორ დაჯდება მაშინ სკოლის შენახვა; ეს იმაზედაა დამოკიდებული, როგორ იქმნება მოწყობილი სახელოსნო განყოფილება, რამდენ ხელობას ასწავლიან და სხვ. ცალკე სამ-კლასიან სახელოსნო სასწავლებელს დასჭირდება ყოველ წლიურად 11960 მან. რაც შეეხება ერთდროულ ხარჯს, ეს იმაზე იქმნება დამოკიდებული, როგორ მოაწყობთ სასწავლებელს და რამდენი განყოფილება იქნება შიგ. ჩვენგან ნაჩვენებ სამ-კლასიან სასწავლებელში მხოლოდ ორი განყოფილებაა—მედურგლობა და ზეინკლობა. სკოლაში მისაღებად საჭიროა ერთკლასიან სახალხო სასწავლებლის კურსი. თუ სასწავლებელი მთავრობის ხელში იქმნება, ასე რომ მასწავლებელთა დანიშვნა და გამოცვლა მაზედ იქმნება დამოკიდებული, მაშინ სამსახური ისე ჩაითვლება, როგორც სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში: ასეთ სასწავლებელს მთავრობა საზოგადოდ შემწეობას არ აძლევს. შემდეგ საშუალო სამთომადნო სასწავლებელს სჭირდება ყოველ წლიური ხარჯი 25,580 მანეთი; დაბალს მეხანიკურ-ქიმიკურ-ტეხნიკურ სასწავლებელს—17,018 მანეთი.

იოს. ბ. კაკაბაძე: ამ ჟამად ძლიერ საჭირო და მწვავე კითხვა ირჩევა. სკოლის წინააღმდეგი, მგონი, არავინ იქმნება, მაგრამ ახლოს რომ გავიცნოთ ჭიათურის მახლობელ სოფლების მდგომარეობა, მაშინ უფრო დავრწმუნდებით, რომ იქ სკოლების გახსნა მიუცილებელი საჭიროებაა. რგანი, ზედარგანი, შუქრუთი და სხვ.—აი, ის სოფლები, რო-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2040.

ცოლის მოსარჯულებლად და ჩასაჩუმებლად გულ-მოსულმა კაცმა ერთხელ ისე მაგრად ჩასჭიდა ყელში ხელები, რომ ბაბუცამ მუხლი მოიყარა. ამის შემდეგ გარეგნობით დატკბა ქალი, მაგრამ გულში კი სიძულვილი გაუათკეცდა და თანდათან გაეღვიძა წყურვილი თავის ქმრის სისხლისა. დიდს ხანს აღარ გაუვლია მას შემდეგ, ერთს ღამეს ბაბუცამ მძინარე ქმარს გადაუჭრა ყელის ძარღვი და იქიდან გადმონთხეულს სისხლს დაეწაფა ისეთის სურვილით, როგორც მაშკრალი მთის წყაროს ზაფხულის დღეში.

როგორცა სჩანს, ბ. ბარნოვმა ამ ეტიუდში სრულებით გვერდი აუქცია საზოგადოებრივსა და სოციალურს მხარეს, მთელი თავის ყურადღება პსიხიურ მომენტების განვითარებას მიაპყრო, მაგრამ, საუბედუროდ, აქ ბარნოვის კალამმა ჯეროვანი სიმახვილე და ანალიტიკოსობა ვერ გამოიჩინა. გულუბრყვილო და კეთილს ბაბუცას უდანაშაულო ქმრის მოსაკლავად უფრო მეტი მიზეზი, მეტი საბუთი უნდა ჰქონოდა, ვიდრე თავის გულში ჩამარხული, გაუმჟღავნებელი სიყვარული, რომლის შესახებ მისმა ქმარმა, უეჭველია, არაფერი არ იცოდა. ბაბუცას ნაზი გრძნობა, ილოს სიყვარული, რომელიც ქალს წმინდანებად მიაჩნია, იმდენად ძლიერი არ აღმოჩნდა, რომ თვალსაჩინოდ, აშკარად დაჰნახვებოდა ილოს, მაგრამ უდანაშაულო ქმარი კი შემაძრწუნებელის, საშინელის დანაშაულობის მსხვერპლად გადააქცია. აქ, ჩემის აზრით, ხელ ახლა მტკიცდება წინად გამოთქმული შეხედულება, რომ ჩვენი მწერლები თითქოს განგებ გაურბიან იმ მხრივ შეჰხედონ თანამედროვე ცხოვრებას, რომლითაც ის უფრო საინტერესოა და საგულისხმო.

—

შევჩერდეთ რამდენსამე ხნით ბ. მელანიას მოთხრობაზე „ლადიკო“. ბ. მელანიამ თავის კალმის პირველის ცდით, „ბნელოს“ დაწერით უეცრივ მოიხვეჭა ნიჭიერის ბელლეტრისტის სახელი და მიიპყრო თავისკენ მკითხველ საზოგადოების ყურადღება. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მელანიამ იმედები არ გაუმართლა ჩვენს საზოგადოებას, იმის კალამს დღემდე „ბნელოს“ მეტი არავითარი ღირსაყურადღებო ნაწარმოები არ შეუქმნია; ახალი მისი მოთხრობა „ლადიკოც“ ძალიან სუსტობს. ლადიკო თავადის შვილია. დედ-მამა სასწავლებელში მიაბარებს თავის პირმშო ვაჟიშვილს და სრულიად დაიმედებულია, რომ პაპის შთამომავლობით ნიჭი მხნეობა, რომლის წყალობითაც განსვენებული ქართველების ჯარის სარდალი ყოფილა, შვილი შვილზე გამოჩნდება და პატარა ლადიკო თავის დროზე მხრებს ეპოლეტებით დაიმშვენებს. ლადიკოს მოხუცს მამას თავის შვილის მომავალი ბედის და უბედობის ნახვა არ დასცალდა, ლადიკო მეორე თუ მესამე კლასში იყო, როდესაც გარდაიცვალა. კნ. ბაბალე ერთგულად უწყობდა ხელს თავის შვილის სწავლას, არაფერს არ აკლებდა, ყოველივე სურვილს უსრულებდა—მაგრამ ნაყოფი მაინც გემრიელი არ გამოდგა. ლადიკომ სწავლაზე გული აიცრუა, ცეკვასა და თამაშობას უფრო მეტს დროს ანდომებდა, ვიდრე გაკვეთილებს, ვერც კლასიდან კლასში გადადიოდა და ბოლოს სასწავლებლიდან დაითხოვეს. ეხლა ლადიკოს მისწრაფება იქითკენ მიიმართა, რომ მოქეიფე ყმაწვილთა წრეში ჩარიცხულიყო და იმის მოთავე გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭირო იყო შესჩვეოდა ღვინის სმას და შფოთიანობას. აი სწორედ, ამ ხელოვნების შეთვისების გზას გაუდგა ჩვენი გმირი. არ გასულა ორი წელიწადი, რომ ლადიკომ გაიმარჯვა, წარბ შეუხრელად გამოცალა დიდი ჯიხვი და ხანჯლით დასჭრა მამალი და სახელ გავარდნილი ნიკო. ლადიკო ამ გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა მოქეიფე თავადების მეთაურად შეიქნა. ყველა ლადოს ჰბაძავდა ჩაცმა-დახურვასა და საერთოდ ქცევა-ყოფაში; ერთგულად ასრულებდნენ ლადოს მიერ დაწყობილ პლანებს და იმასთან ერთად ეწეოდნენ ქეიფს. ერთხელ ლადომ მდიდარ ასატურას ქალის მოტაცება განიზრახა იმ ფიქრით, რომ ასატურა ძალა-უნებურად ბოლოს უნდა დათანხმებულიყო ქორწინებაზე, რასაც ფულები და მაშასადამე მხიარულება და ქეიფი მოჰყვებოდა. ამ გეგმის ასასრულებლად გაემართა ლადო თავის ამხანაგებით ასატურას სახლისკენ. გზაზე ერთმა უბედურმა შემთხვევამ სრულიად სხვა ნაირად დააბოლოვა ქალის მოტაცების საქმე. ცხენ-და-ცხენ მიმავალ ლადოს ერთმა გაკადნიერებულმა გლეხკაცმა გაუბედა და მოახსენა, ბატონო, ცხენი იქით მიაყენეო. აემღვრია გული ჩვენს გმირს, იძრო ხანჯალი და სასიკვდილოდ გაუყარა გლეხს ზურგამდე. ჩაიშალა ქალის მოტაცების საქმე... ლადო სამართალში მისცეს და ციმბირში გაისტუმრეს.

ბ. მელანიას ამ ამბისთვის მოთხრობა დაურქმევია, ნამდვილად კი არაფერი არ არის მოთხრობილი გარდა იმისა, თუ ვინ იყო და რა იყო ლადიკო. მოთხრობის დასაწერად რომელიმე გმირის დახასიათება სრულიად საკმარისი არ არის, მოთხრობისთვის მოქმედება, ამბავი იმდენადვე საჭიროა და აუცილებელი, როგორც დრამისთვის. ფუქს ადამიანის ცხოვრება საერთოდ მდიდარი არ

მელნიც ჩვენ—შავი-ქვის მწარმოებელთ გვარჩენენ, ლუკმას გვაძლევენ. ამიტომ ჩვენ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს, თუ შეძლება გვექნება, ამ სოფლებში სკოლების გახსნის უარი ვსთქვათ. საჭიროა, ყოველ სოფელში, სადაც სკოლა არ არსებობს, გაიხსნას სახალხო სკოლები; თვით ჭიათურაში კი უნდა დაარსდეს ერთი საშუალო ცენტრალური სკოლა, რომელსაც შეეძლება ყმაწვილები უმაღლეს სასწავლებლისათვის მოამზადოს.

ბ-ნი ნოვოხატსკი: სოფელ პერევისაში არსდება ორკლასიანი სასწავლებელი; ერთი მასწავლებლის ჯამაგირს სოფელი იძლევა, მეორისას—მთავრობა; რაც შეეხება შენობას—სოფლელთ სურთ ჭიათურის მრეწველების წინაშე იშუამდგომლონ, რომ მათ მისცენ ამისთვის საჭირო ფული.

ხმები: „მივცემთ, დავეხმარებით“.

ნ. დ. ბაქრაძე: როდესაც სკოლის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე უნდა იკითხონ, რა უფლება ექმნებათ. სწორედ საკვირველია! უფლებას ვეძებთ, თუ ცოდნას? ადამიანმა უნდა იფიქროს განათლებასა, და არა უფლების მიღებაზე, რომ შესძლოს თავისი ცოდნით ლუკმა პურის მოპოვება. ამ ჟამად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მეურნეობასა და სახალხო შრომას. სოფლის სამინისტრო პირველ-დაწყებითი სკოლები იხურება, რადგან იქ სწავლა ხეირიანად ვერაა დაყენებული უკუღმართ მეთოდის წყალობით. ათავებენ ბავშვები სკოლას, მაგრამ არავითარი ცოდნა არ გამოაქვთ იქიდან: არც ქართული წერა-კითხვა იციან და არც რუსული; ეჩვევიან ზარმაცობას, ცუდად ყოფნას და დახმარების მაგივრად მეტ ბარგად აწვებიან მშობლებს კისერზე. ამიტომ ყველაზე უმჯობესი იქმნება, რომ პროფესიონალური სკოლა დავაარსოთ ჭიათურაში. ჩვენ გვინდა მუშები, საქმის მცოდნე ადამიანები და არა მუქთა-მჭამელა თეთრხელა ყმაწვილები.

ბ. ბ. ემერიკი: არ შემიძლიან ბ-ნ ბაქრაძეს დავეთანხმო, ვითომც საზოგადო განათლების მიღებას ისა სჯობდეს, რომ პროფესიონალური სკოლა დაარსდეს ჭიათურაში. ჩვენ ცოცხალი მანქანები კი არ გვინდა, არამედ ცოცხალი, მეტყველი ადამიანები; უკანასკნელთ კი გვაძლევს ისეთი სკოლა, სადაც საზოგადო განათლებას გადიან. ჩემის ფიქრით, ყოველგვარ სკოლას აჯობებს სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით. მე სრულიადაც არ მაშინებს ის აზრი, ვითომც ასეთი სასწავლებლიდან მხოლოდ თეთრხელა ყმაწვილები გამოვიდნენ. ასეთი მაგალითები ყოველ სასწავლებელშია. სასწავლებელი ფაბრიკა არაა, რომ ყველა მოწაფეები ერთნაირად ჩამოსხმული გამოვიდნენ; ადამიანის ბუნება სხვა-და-სხვა გვარია და ბუნების წინააღმდეგობა არ შეიძლება. საქმე არც პროგრამაზეა დამოკიდებული, არამედ ყმაწვილის ხასიათზე. გარდა ამისა მოწაფის ავკარგიანობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელს. თუ უკანასკნელს აქვს ცოდნა, საქმეს სიყვარულით ეკიდება, მაშინ მისი მოწაფეებიც კარგები გამოვლენ. თუ სკოლაში კარგი მასწავლებლები გვეყოლება, მაშინ საქალაქო სასწავლებელი სამაგალითო იქმნება და ყოველგვარ სასწავლებელზე მეტ სარგებლობას მოგვიტანს. სახელოსნო განყოფილებაში უნდა გადიოდნენ ორ ხელობას—მჭედლობასა და დურგლობას.

მღვდელი მ. ჭედაძე: თუ კი ფაბრიკებში მომუშავენი თხოულობენ უფასო სკოლების გახსნას, მით უმეტეს ჭიათურის მცხოვრებელთ ნება აქვთ მოითხოვონ მწარმოებელთაგან სკოლების გახსნა. მაგრამ ის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რა ტიპის სკოლა უფრო დააკმაყოფილებს სოფლელთა მოთხოვნილებას. სახელოსნო სკოლა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ჭიათურაში მისი გახსნა ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ტფილისში არის სახელოსნო სკოლა, სადაც ორკლასიან ბავშსაც უჭირს შესვლა; ჩვენ კი ორკლასიანი სასწავლებლები არა გვაქვს და ვერც ბავშებს მოვამზადებთ სახელოსნო სკოლისთვის. ესევე ითქმის ტეხნიკურ სასწავლებელზედაც. რაც შეეხება საქალაქო სკოლას, მით ჭიათურის ვაჭრები უფრო ისარგებლებენ, ვიდრე სოფლელნი; ეს იმას ემსგავსება, რომ ბავშებს პური წაართვა და ლორებს გადაუგდო,—ბოდიშს ვიხდი ამგვარი გამოთქმისთვის.—უკეთესი იქმნება, რომ ყოველ სოფელში დაარსდეს ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, გარდა სოფ. მღვიმევისა, სადაც ორკლასიანი ქალთა სკოლა უნდა დაარსდეს, და ჭიათურისა—სადაც დაარსდება ორკლასიანი ვაჟთა სკოლა. ასეთი სკოლების შენახვას დასჭირდება დაახლოვებით 8,000 მანეთი ყოველწლიურად; აქედან ნახევარს იკისრებს სასულიერო მთავრობა, ნახევარი კი სოფლელებმა და ჭიათურის მრეწველებმა უნდა იკისრონ, ასე რომ—მრეწველთ ყოველწლიურად დასჭირდებათ 2000 მანეთი.

თავ. ი. ბ. ნიჟარაძე საქალაქო სასწავლებლის წინააღმდეგია, რადგან ასეთი სასწავლებელი ერთი უკვე ზესტაფონში, მეორეს კი მალე საჩხერეში გახსნიანო. ის ურჩევს კრებას დააარსოს სახელოსნო სასწავლებელი სამთო განყოფილებით.

ბ-ნი ცერცვაძე საქალაქო სასწავლებელის წინააღმდეგია; უმჯობესად სთვლის დაარსდეს რომელისამე ტიპის პროფესიონალური სკოლა სასოფლო-სამეურნეო განყოფილებით.

დ. ნ. ბაქრაძე: საზოგადო განათლების მე სრულიადაც წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ საზოგადო განათლებას ხომ პროფესიონალურ სკოლებშიაც იღებენ ყმაწვილები. მ. ჭედაძე მისთვისაა სახელოსნო სკოლის წინააღმდეგი, რომ სკოლები არა გვაქვს, სადაც სახელოსნო სკოლისთვის შესაძლებელი იქმნეს ბავშვების მომზადებაო. სკოლები კი იყო, მაგრამ ბევრი დაიხურა, რადგან ასეთ სკოლებს, როგორც უვარგისს, ბავშები გაურბიან. საქალაქო სასწავლებლიდანაც ბევრი გადადის სამეურნეო სასწავლებელში. ის არა კმარა, რომ ყმაწვილმა იცოდეს, აფრიკაში ან ამერიკაში ლომები ცხოვრობენ, ან ბანანი მოდის. საჭიროა პრაქტიკული ცოდნა, რასაც ასეთი სასწავლებლები ვერ იძლევიან.

გ. გ. ემერიკი: თუმცა სკოლის შესახებ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ, როგორც სჩანს, ადვილად შევთანხმდებით. დავით ნიკოლოოზის-ძემ ისა სთქვა, რომ სახელოსნო სასწავლებელიც იძლევა საზოგადო განათლებასო; მართალია, იძლევა, მაგრამ მხოლოდ ზერელეს, სხვათა შორის. ის დიდი უბედურება არ იქმნება, რომ ყმაწვილმა სკოლის გათავების შემდეგ დაივიწყოს ალგებრა, ან გეომეტრია, ან აფრიკის ლომები ან ბანანი; სამაგიეროდ მას რჩება განვითარება, გაწვრთნილი ჭკუა; მას შეუძლია სწორი შეხედულება იქონიოს ამა თუ იმ კითხვის შესახებ. რა იქმნება იმაზე უკეთესი, როდესაც ჩვენ დავინახავთ, რომ ამ განვითარებულ ყმაწვილთ ხელში ჩაქუჩი ან ნაჯახი უჭირავთ და თავიანად მუშაობენ.

ბ-ნი ნოვოხატსკი: არავინ არაა საზოგადო განათლების წინააღმდეგი; საქალაქო სკოლა კარგია, მაგრამ ასეთი სასწავლებლები ქუთაისის გუბერნიაში ათი მაინცაა; სპეციალური სასწავლებლები კი არა გვაქვს. ჭიათურის მახლობლად ერთი საქალაქო სასწავლებელი ზესტაფონშია, მალე ხარაგაულშიაც იქმნება. ჭიათურისათვის ამ ჟამად ყველაზე უფრო სასარგებლო პროფესიონალურ სკოლის დაარსება იქმნება.

კიდევ ბევრი იკამათეს ამ საგნის შესახებ, მაგრამ თითქმის იგივე გაიმეორეს, რაც უკვე ითქვა. დასასრულ თავმჯდომარემ ასეთი დასკვნა გამოიყვანა ნალაპარაკევიდან: უმეტესობას ჰსურს დაარსდეს პროფესიონალური სკოლა საზოგადო განათლების კურსით.

კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო ეს დასკვნა და მიანდო მომავალ საბჭოს კარგად შეიმუშაოს ეს კითხვა და წარუდგინოს მრეწველთა საგანგებო კრებას.

სხდომა გადაიდო 13 იანვრის დილის 10 საათისთვის.

13 იანვარი

სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე. მცირე კამათის შემდეგ დამტკიცდა წინა კრების ოქმი.

თავმჯდომარე: რადგან სარევიზიო კომისია დღეს აქ არ არის და ანგარიშებიც ეხლა დავარიგეთ, ამიტომ, საჭიროა სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა ხვალამდის უნდა გადავდოთ. ხვალისათვის კომისიის წევრებიც მოვლენ.

თავ. ი. აბაშიძე: კრებისაგან დიდი დაულებაა, რომ სარევიზიო კომისიას ორი დღეა, რაც უცდის, სამაგიეროდ ის კი უზრდელად იქცევა; ის ვალდებული იყო, დღეს აქ ყოფილიყო.

მოხსენების წაკითხვა 14 იანვრისთვის გადაიდვა.

დაიწყეს პროგრამის მე-13 §-ის განხილვა.

თავმჯდომარე: ჭიათურის შავი-ქვის გეოლოგიური რუქა უნდა შესდგეს. თუმცა ოცის წლის წინად ბ-ნთ ბაცევიჩს, სიმონოვიჩსა და სოროკინს შეუდგენიათ გეოლოგიური რუქა, მაგრამ იქ ბევრი საჭირო ცნობებია გამოტოვებული; ეს რუქა გეოლოგიური კი არა, უფრო ფენების რუქა იქმნება (ПЛАСТОВАЯ); კითხვა ძლიერ სერიოზულია და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ.

ამის შესახებ მოხსენებას კითხულობს ინჟენერი ბ-ნი საპიცკი. მოხსენებიდან სჩანს რომ რუქაში აღნიშნული იქმნება: ა) მადნიან ადგილების სივრცე, ბ) ამოღებულ მადნეულობის რაოდენობა, გ) მადნეულიან ადგილების ხარისხებათა და რაიონებად დაყოფა, დ) დარჩენილ მადნეულობის რაოდენობა და მისი კლასიფიკაცია და სხ. რუქას ექმნება 25 საჟენი თითო დიუიმში.

იოს. პ. კაკაბაძე საჭიროდ არა სთვლის ასეთის რუქის შედგენას, რადგან შეგვიძლია ძველი რუქით ვიხელმძღვანელოთო.

ბ-ნი საპიცკი მოახსენებს კრებას, რომ ამგვარ რუქაში ბევრი ახალი და ძლიერ საჭირო ცნობები იქმნება; სხვათა შორის, შეგვეძლება გავიგოთ, რამდენი მადანია ჭიათურის რაიონში და რამდენ წელს შეგვიძლია მით ვისარგებლოთ. ამ ცნობებით ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ კითხვების გარჩევის დროს, რომელთაც დიდი ხარჯი მოსდევს.

თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, სამთო მმართველობის უფროსმა აღგვითქვა, რომ ხარჯის ერთ ნაწილს მთავრობა იკისრებსო.

გ. გ. ემერიკი: ამგვარი რუქის შედგენას დასჭირდება სულ 10-დან 13 ათასი მანეთი; თუ მთავრობამ ხარჯის ნახევარი იკისრა, მაშინ მწარმოებელთ 5—6 ათასი მანეთი ექმნებათ გადასახდელი, ისიც ორის წლის განმავლობაში; ასე რომ—იმ სარგებლობასთან, რომელიც რუქას შეუძლია მოიტანოს, ასეთი ხარჯის გაწევა სრულიად უმნიშვნელოა. ეხლა ამბობენ, ვითომც ჭიათურაში 6 მილიარდი ფუთი შავი-ქვა უნდა იყოს, რომელიც 100 წელიწადს და მეტსაც არ გამოილევაო, მაგრამ ეს, მგონი, ძლიერ გადამეტებული უნდა იყოს; ამის შეტყობა კი მხოლოდ ფენების რუქის საშუალებით შეიძლება. ამით მადანს ფასიც მოემატება, თუ, მაგალითად, შავი ქვა იმდენი არ შეიქმნა, რამდენსაც ჰფიქრობდნენ.

იოს. პ. კაკაბაძე საჭიროდ არ ნახულობს ასეთ რუქის შედგენას, რადგან ფულს ტყუილად დავხარჯავთ და სარგებლობას კი ვერას ვნახავთო; მსოფლიო ბაზარზე შავი-ქვის მაზანდა მოთხოვნილებასა და მიწოდებაზეა დამოკიდებული და არა ფენების რუქის შედგენაზე.

გ. ფ. ზდანოვიჩი: როგორც ბ-ნი საპიცკი ბრძანებს, რუქის მასშტაბის დიუიმში 25 საჟენი იქმნება, ასე რომ ყოველი ნაჭერი ადგილი იქმნება შიგ ცალკე აღნიშნული. თუ კი, მაგალითად, ისეთი პლანები, რომლის მასშტაბსაც დიუიმში 100 საჟენი აქვს, კარგად აღნიშნავენ ადგილების მდებარეობასა და რაოდენობას, ამ რუქაში ერთი ოთხად უფრო გარკვევით იქმნება აღნიშნული. მხოლოდ ერთ რასმე უნდა მივაქციოთ

არის მოქმედებით. ლადიკოს და მისი მზგავსი თავადების სიცოცხლეც თითქმის მხოლოდ ქეიფსა და უსაქმოდ დროს გატარებას უნდება, მაგრამ ეს გარემოება უფლებას არ აძლევს მოთხრობის ავტორს თავის ნაწერში არაფერი არ მისცეს მკითხველს დახასიათების მეტი. იქნება უცაბედი და მოულოდნელი მოკვლა უდანაშაულო ადამიანისა ძალიან ტიპიური მოვლენა იყოს ლადიკოსათვის, მაგრამ მკითხველის გულს არც ეს მკვლელობა, არც იმისი აღწერა, თუ როგორ აღიზარდა ლადიკო, ბევრს არაფერს ეუბნება. აუცილებლად საჭიროა მოთხრობის ავტორი გვისურათებდეს ადამიანების ურთიერთის დამოკიდებულებას, მათს ბრძოლას ერთმანეთთან სხვა-და-სხვა საგნის გამო, თორემ მარტო-ოდენ ხასიათის აღწერა—ფილოსოფიური, ან პუბლიცისტური მსჯელობაა, და არა კაზმული მწერლობა. ბ. მელანიას მოთხრობაში ბევრი ერიად საყურადღებო ადგილია; ასეთ ადგილად მიგვაჩნია, მაგალითად, ის, რომ ავტორის სიტყვით არსებობს მთელი წრე ყმაწვილებისა, რომლებიც ერთს ბელადს ექვემდებარებიან და იმის ხელმძღვანელობით დათარეშობენ სიავკაცისა და პირუტყვულის სიამოვნების მოსაპოვებლად, რომ ამ წრეში შესვლა არც მაგრე ადვილია, როგორც პირველ შეხედვაზე ეგონება კაცს, რომ ამისთვის საჭიროა დახელოვნება ღვინის სმასა და შფოთიანობაში. ღირს-საყურადღებოა, ჩვენის ფიქრით, ისიც, რომ ლადიკო მოსამსახურის ხელმძღვანელობით იწრთვნება, რომელიც მხოლოდ იმიტომ დაიჭირა, ღვინის სმა მასწავლოსო. ლადიკოსებური ტიპი ჩვენს მწერლობაში ხშირად დასურათებულა, განსაკუთრებით სასცენო ნაწერებში. იქ უშინაარსო და დაუსრულებელი ქეიფი ამ გვარ ყმაწვილებისა სხვათა მოქმედებასა აქვს დაპირისპირებული, ამიტომ მათი უშინაარსობა უფრო ცოცხლადა სჩანს და მკაფიოდ. „ლადიკო“-ს ავტორს რომ რამდენადმე გაეფართოვებინა თავის მოთხრობის ფარგალი, ლადიკოს გარდა კიდევ სხვა პირებიც დაეხატა, იმათი ცხოვრება და ინტერესები ერთი-მეორისათვის გადაება—მაშინ სულ სხვა ღირსებისა და მნიშვნელობისა იქნებოდა ბ. მელანიას ნაწერი. ეხლა კი ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ ავტორი კარგად იცნობს ჩვენს ცხოვრებას, იცის მიზეზები, რომლებიც ჰქმნიან ფუქს, ფუქსავატ „ლადიკოებს“, მაგრამ მკითხველის გულში კი არავითარს შთაბეჭდილებას არ აღძრავს.

—

ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ ქ. აზიანის სცენებს „ცოდვა“. ლიზა ოცის წლის გათხოვარი ქალია, ლამაზი და მოხდენილი. ვასო კარბატოვი, ჩინოვნიკი, ლიზას დედის სახლში სდგას, როგორც მდგმური. ვასო არშიყობას დაუწყებს ყმაწვილ ქალს, რომელსაც იმედი აქვს, ვასო ცოლად შეირთავსო და გულს გადაუშლის. გაფუჭებული და გარყვნილი ვასო სარგებლობს ლიზას წმინდა გრძნობით, ჯერ სიტყვას მისცემს, მაგრამ, მოიკლავს რა თავის სურვილს, გამოუცხადებს, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთო. გაუბედურებული ლიზა სასოწარკვეთილებაშია... გამოჩნდება მაქანკალი, რომელსაც ლიზასათვის სხვა საქმრო ჰყავს, ახალგაზრდა, მდიდარი და ნასწავლი გალაკტიონი. ლიზა უარზეა, გალაკტიონს არ მივთხოვდებიო. ან რა ცოლი უნდა ვიყო იმ კაცისა, რომელსაც ალბად ერთგულად ვუყვარვარ, რომ უმზითვოს მთხოულობს, როდესაც მე იმას ჯვარის წერამდე ვუღალატე—ჰფიქრობს ლიზა. გალაკტიონს მთელი ომი აქვს თავის დედასთან, რომელსაც ღარიბის რძლის სახლში შემოშვება არ უნდა... ამ მხრივ გალაკტიონი პატიოსნებას იჩენს, მაგრამ უეცრივ შემოიჭრება სახლში მაშო, გალაკტიონის ყოფილი საყვარელი და უსაყვედურებს გულის აცრუებას. გალაკტიონი ამ ქალს ფულით აკმაყოფილებს.

ამ სცენებს იმდენი ღირსება არა აქვს, რამდენიც ნაკლულევანება. გარყვნილი, გასაძაგლებული ადამიანი—იშვიათი შემთხვევა არ არის; ინტელლიგენტთა წრეშიც სანთლით საძებარი არ გახლავან ისინი, მაგრამ წინანდელის სიყვარულის ესე თავისუფლად, სინდისზე ხელ-აღებით უარყოფა, როგორც ამას ქ. აზიანი გვისურათებს, ჩვენ ცილის წამებად მიგვაჩნია. განსაკუთრებით უცნაურია გალაკტიონის საქციელი: ერთს საყვარელს, რომელთანაც შვილი ეყოლა, სახლიდან ითხოვს და მეორეზე კი ჯვარს იწერს. რა მოსაზრებით, რა მიზნით? განა ლიზა რითი სჯობდა მაშოს, ორივენი ხომ ღარიბები არიან და ვერც შთამომავლობით წაუვლენ შორს ერთი მეორეს? გალაკტიონის მოქმედებას ვერც იმით აჰხსნით, ვითომც აქამდე მაშო უყვარდა ეხლა კი ლიზა შეიყვარაო; ის თითონვე ეუბნება მაშოს, თუმცა ცოლს ვირთავ, მაგრამ მე და შენ ისევე ვიცხოვრებთ, როგორც აქამდეო.

თუმცა აზიანის სცენებს ნაკლულევანება ბევრი აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც სიხარულით ვეგებებით ავტორის პირველს ცდას, თავის კომედიებისთვის მასალის საძებნელად ინტელლიგენტთა ცხოვრებაშიაც ჩაიხედოს, მით უმეტეს, რომ აქ ნაკლები მასალა არ მოიპოვება შედარებით მოხუცს მოქალაქეთა ცხოვრებასთან.

ზანგი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული

კრების ყურადღება: სასურველი იქნება თუ არა მრეწველთათვის, რომ გამოქვეყნდეს, ვის რამდენი აქვს მადანი და ან რა ღირსებისა.

ბ. ბ. ემერიკი: ყველასთვის საჭიროა იცოდეს თავისი სიმდიდრის რაოდენობა. რამდენსამე პირს რომ არ მოეწონოს თავისი უვარგისის მადნის გამოქვეყნება, ამისთვის კრება არ უნდა შესდგეს. მაგრამ ფენების რუქას ის სრულიადაც არა აქვს საგნად, რომ აღნიშნოს, ვის რა ღირსების და რამდენი მადანი აქვს; ის მხოლოდ იმას გვაჩვენებს, რომელ მიდამოში რამდენი და როგორი ქვაა. უთუოდ ბევრმა იცის, რა ზარალი ნახა ერთმა ინგლისელმა ამხანაგობამ; მას რომ ფენების რუქა ჰქონოდა, მაშინ-კი ეს არ დაემართებოდა. დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ კრებას არ ეკადრება სიმართლის დაფარვა და ანგარებისადმი მრეწველთა წაქეზება.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: მე მგონი, ბ. ემერიკს სურვილი არ ჰქონია ეთქვა, რომ ვითომც მე საზოგადოებას ვაქეზებდე, სიმართლე დაჰფარე და ანგარების მოყვარე გახდი-მეთქი.

ბ. ბ. ემერიკი: ღმერთმა დამიფაროს!

ბ. ფ. ზდანოვიჩი: ყველამ იცის, რომ სავაჭრო-სამრეწველო საქმეებში ბევრი ისეთი რამეა, რომლის გამომჟღავნებაც არ შეიძლება. მე პრინციპიალურად რუქის შედგენის წინააღმდეგი სრულიადაც არა ვარ, მხოლოდ საჭიროდ ვნახულობ, რომ ამ საგანს სერიოზული ყურადღება მიექცეს, რომ შემდეგ სანანებლად არ გაგვიხდეს. ისიც ძლიერ კარგი იქნება, თუ რუქის საშუალებით შეძლება გვექნება გავიგოთ, რომელ სოფელში რამდენი და რა ღირსების ქვაა. მხოლოდ ეხლავე უნდა ვსთქვათ, ვის ხელში დარჩება ეს რუქა და როგორ უნდა ვისარგებლოთ მით.

თავმჯდომარემ კითხვა გამორკვეულად სცნო, ე. ი. საჭიროა, რომ შედგენილ იქმნეს ფენების რუქა; ამისათვის უნდა შემუშავდეს წესი, რომლითაც იხელმძღვანელებენ რუქის შედგენის დროს, აგრეთვე იმის წესიც, ვისთან უნდა ინახებოდეს რუქა და როგორ ისარგებლონ მით; მაგრამ კითხვა საბოლოოდ კიდევ ვერ გადასწყვიტეს და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდის გადასდვეს.

დონ-ვადიანი

(გაგრძელება იქნება)

დედა ენის მნიშვნელობა სახალხო სკოლაში

(გაგრძელება)*)

კავკასიის სახალხო სკოლებში სწავლების სისტემა ისე გაუკუღმართებულია თითქოს წინადვე განზრახულ მიზნის მისაღწევად, რომ პედაგოგიის მოთხოვნილება სულ უყურადღებოდ არის დატოვებული. ბავშვს, რომელსაც დედა-ენაზე ეს არის ეხლა დაუწყია ტიტინი, პირველ დღიდანვე სრულიად უცნობ ენაზე სახელმძღვანელოებს აძლევენ. გერმანიის სახელოვანი პედაგოგი რიხტერი ამბობს: „უყურადღებობა დედა-ენისადმი დიდად მავნებელია მოზარდ-თაობისათვის. ბავშვებს ეზიზღებათ ის საგნები, რომელნიც ყურადღებისა და პატივისცემის ღირსნი არიან. მასწავლებელს ისე არაფერი აქვს შეურაცხებული, როგორც დედა ენა, რომელიც იმან შინიდან მოიტანა სკოლაში, აგრეთვე ისე არაფერი შეაწუხებს და აშფოთებს, როგორც სიძულვილისა და ზიზღის გამოხატვა იმის მშობლიურ დედა-ენისადმი; ამიტომაც უმთავრესი მოვალეობა მასწავლებლისა ის უნდა იყოს, რომ ბავშვს ასწავლოს ლაპარაკი და აზროვნება მშობლიურ ენაზე. სკოლებში მიღებული მეთოდი ბავშვს აძლევს პირველ დღიდანვე სახელმწიფო ენას, როგორც მიზეზს მისის შეწუხებისა და სატანჯველისას“. ჩვენმა სახალხო სკოლებმა დღევანდელ უკუღმართი მიმართულებით გაამართლეს უშინსკის მოსაზრებანი: „ის სახალხო სკოლა, სადაც სწავლების იარაღად დედა-ენა არ არის მიღებული, პირველ დღიდანვე ბავშვს მწარედ აგონებს, რომ იგი თავის მშობლიურ კერას ძალიან დაშორებულია. რაღად უნდა გვიკვირდეს, თუ ასეთმა სკოლამ ვერავითარი კეთილი თესლი ვერ დასტოვა ცხოვრებაში და ვერავითარი კეთილი ნაყოფი ვერ გამოიღო. ასეთი სკოლა უსარგებლოა. ბავშვი ძალიან მალე ივიწყებს სახალხო სკოლაში შეძენილ რამდენსამე რუსულს სიტყვას, ივიწყებს იმ მცირე ცოდნასაც, რომელიც ნაძალადევად ჩაუნერგეს. ხალხის ენა სკოლის შემდეგ ხელ-ახლა იპყრობს იმის სულსა და გულს და ავიწყებს ყველა იმას, რაც სკოლაში შეუძენია. რა გააკეთა სკოლამ? სრულიად არაფერი. იმან შეაჩერა რამდენისამე წლით ბუნებრივი განვითარება ბავშვისა. მართალია, ცოტაოდენი წერა-კითხვა ეცოდინება, მაგრამ ცხოვრებაში ვერ გამოიყენებს. ასეთი სკოლა კაცს კი არა ჰწვრთნის, არ ანვითარებს, არამედ ჰრყვნის და აუკუღმართებს.“ ვინც დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას დაჰკვირვებია, ის ჭეშმარიტებად ჩასთვლის უშინსკის ზემოდ მოყვანილ სიტყვებს. მართლაც ასეთ სკოლებში გამოზრდილმა ახალ-გაზდობამ მეტად ცუდი ზნე-ხასიათი შეიტანა ცხოვრებაში. დღევანდელ ახალ-გაზდობის ქარაფშუტობისა, მცონარე ცხოვრებისა, ქურდობა-ავაზაკობის ერთი უმთავრესი მიზეზი სახალხო სკოლაა, რომელიც ბავშვს არ აჩვევს შრომა-მუყაითობას. ეს არის მიზეზი, რომ დღეს რამდენსამე გროშად იყიდით გრძნობა-გონებას ადამიანისას და ისეთ ტყუილებს ალაპარაკებთ სასამართლოში, რომელთა შეთხზვა მხოლოდ სრულიად გაუკუღმართებულ ბუნებას შეუძლიან. ეს არის მიზეზი ჩვენში მართლმსაჯულების უნიადაგობისა, ეს არის მიზეზი ეკონომიურად ხალხის ჩამორჩენისა და სხვა. დღევანდელ სკოლაში სული ბავშვისა მოქანცულ-მოდუნებულია, რადგან ცოცხალ დედა-ენის ნაცვლად ბავშვს აწვდიან იმისთვის გაუგებარ ენას. აბა შეადარეთ ამ სკოლის მოქანცულ-მოდუნებული და უღონოდ მობერებული ახალ-გაზრდანი იმ სკოლებისას, სადაც ბავშვები თავიანთ დედა-ენის საშუალებით სწავლობენ! პედაგოგი ბობროვნიკოვი ამბობს: „საგნის სიტყვიერად სწავლება იმ ენაზე, რომელსაც ბავშვებს არაფერი ესმით ან და ნაკლებად ესმათ, სრული პედაგოგიური სისულელეა. არიან ისეთი მასწავლებელნი უცხო ტომის სახალხო სკოლებში, რომელნიც ბავშვებს ძალას ატანენ და რუსულ ენას ასწავლიან. რომ ჰკითხოთ, „რად სჩადიან ასე, მოგვიგებენ, გვინდა ბავშვებს მალე შევასწავლოთ რუსული ენაო. ამ გვარ „პედაგოგებს“ პედაგოგიასთან საერთო არა აქვთ-რა. ასეთი სისტემა დიდად მავნებელია, როგორც სკოლისა, ისე საგნისა და მასწავლებლისათვისაც-კი. მაგონდება ამბავი ერთის ექიმისა. ავადმყოფს, რომელსაც კუჭის სნეულება ჰქონდა, მკურნალობდა ერთი ექიმი. ავადმყოფის ნათესავები არ დაკმაყოფილდნენ ექიმის წამლობას და დაუკითხავად წაიყვანეს სამარაში კუზმიჩთან, იმის სამკურნალო ბალახის სახმარებლად. როცა დაბრუნდნენ, ექიმს გამოუცხადეს, ჩვენი ავადმყოფი სრულიად მორჩა სნეულებისაგანაო. ექიმმა უპასუხა, თუ მაგ წამლობით თქვენი ავადმყოფი მორჩება, მე ცეცხლში დავწვავ ჩემს ქაღალდებს, ჩემს დიპლომს, ექიმობას თავს დავანებებ და „დვორნიკად“ დავდგებიო. ექიმს „დვორნიკად“ დადგომა არ დასჭირებია, რადგან ავადმყოფი მალე გადაიცვალა. ასეთვე ჩვენი პედაგოგების საქმეც. ამბობენ, სადღაც გადაღმა, შავი ზღვის იქით უცხო ტომის ხალხს პირ-და-პირ რუსულს ენაზე ასწავლიან და ამ სისტემას მშვენიერი ნაყოფი მოაქვსო. თუ ეს მართალია, მაშინ საპედაგოგიო თხზულებანი და გამოკვლევანი ცეცხლში უნდა ჩავყაროთ და თვით პედაგოგიას სრულიად უარი უნდა ვუთხრათ“. ამასვე იმეორებენ სხვანიც.

მომხსენებელთ მოჰყავთ მრავალ სხვათა მოსაზრებანი. ყველანი ერთსა და იმასვე ამტკიცებენ, რომ ბავშვს სკოლაში სამშობლო ენაზე უნდა ასწავლონო. თავიანთ მოხსენების განსახილველად და შესავსებათ მომხსენებელთ მიუწვევიათ პედაგოგები. მიწვეულნი შეჩერებულან შემდეგს გადაწყვეტილებაზე: 1) რადგან უცხო ტომის ხალხებმა უნდა შეისწავლონ სახელმწიფო ენა, ხოლო დღეს არსებული სამის წლის კურსი საკმაო არ არის, ამიტომ აღიძრას შუამდგომლობა, რომ უცხო ტომის ხალხისთვის დაარსებულ სკოლებში შემოღებულ იქნას სამის წლის ნაცვლად ოთხის წლის ვადით სწავლება. 2) სახალხო ერთკლასიან სკოლებში, სადაც ოთხის წლის კურსია, ყველა საგნების სწავლება უნდა სწარმოებდეს დედა-ენაზე პირველს სამს წელიწადს, ხოლო 2-კლასიან სახალხო სკოლებში, სადაც 6 წლის კურსია, დედა-ენაზე სწავლება უნდა იყოს პირველს 4 წელიწადს. ამასთან დედა-ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, ყოველ დღე მთელის კურსის დამთავრებამდე. 3) რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი. ყოველ დღე მთელის კურსის დასრულებამდე. რუსულის ენის სწავლება, როგორც ცალკე საგნისა, დაწყებულ უნდა იქნას სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან; ამას გარდა ერთკლასიან სახალხო სკოლებში მეოთხე წელიწადს, ხოლო 2 კლასიანში უკანასკნელ ორ წელიწადს ყველა საგნები უნდა ისწავლებოდეს რუსულს ენაზე. სამღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს მთელის კურსის დასრულებამდე მშობლიურს ენაზე. 4) აღიძრას შუამდგომლობა, რომ მეტი ფული გაიღოს საერთო თანხიდან სახალხო განათლების გასაძლიერებლად. 5) აღიძრას შუამდგომლობა, რომ სახალხო სკოლებთან დაარსებულ იქნას სამკითხველოები და წიგნთსაცავები. თუ მოხერხდება, სკოლებთან უნდა დაარსდეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმები; სახალხო სკოლებთანვე უნდა მოეწყოს კითხვები სასოფლო-მეურნეობის და სხვა დარგების შესასწავლად. 6) აღიძრას შუამდგომლობა, რომ მასწავლებელთ ნება მიეცეთ კრებების გამართვისა საჭირო საკითხების გამოსარკვევად და განსახილველად. უნდა მოეწყოს აგრეთვე მასწავლებელთათვის კურსები როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე საპედაგოგიო ლიტერატურის გასაცნობლად და განსავითარებლად. 7) აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ იქნას მასწავლებელთა მდგომარეობა.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება

12 იანვარს ქუთ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება მოხდა. თუმცა კრება საღამოს 7 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ $8^{1}/_{2}$ საათზე ძლივს შესდგა. ამის მიზეზი იყო საზოგადოების საბჭოს წევრთა დაგვიანება. შვიდ წევრისაგან 8 საათზე გამოცხადდა მხოლოდ ერთი- ბ. ფ. ზდანოვიჩი, რომელმაც გახსნა კრება, და 9 საათზედაც დ. ნ. აბდუშელიშვილი; დანარჩენნი სულაც არ დასწრებიან კრებას. კრების გახსნისათანავე ბ-ნი ზდანოვიჩი სთხოვს საზოგადოებას კრების თავმჯდომარე აირჩიოს. თითქოს კარგად გაწვრთნილი ჯარის კაცნი—ერთი მხარე ერთხმად ასახელებს დ. ბ. კვირკელიას, რომელიც არც აცივებს, არც აცხელებს და მიდის თავმჯდომარის სავარძლის დასაჭერად. ბ-ნი ზდანოვიჩი სავარძელს უთმობს. მეორე მხარეზე ყვირილი შეიქმნება: „არ გვინდა კვირკელია! არ გვინდა! არ გვინდა“. ძალად თავმჯდომარე ზარას აწკარუნებს, ადგილიდან კი არ იძვრის. კიდევ მეტი ყვირილი შეიქმნება: „ძირს კვირკველია! ძირს! ვთხოვთ დავით არჩილის ძეს (ლორთქიფანიძეს)“! ბ-ნი კვირკელია ზარის წკარუნს უმატებს. თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე საზოგადოებას ამშვიდებს: ახლა ერთია საქმისთვის, ვინც უნდა იყოს თავმჯდომარედ; ტყუილად დროს ნუ დავკარგავთ; რევიზიის ანგარიშისა და გამგეობის განმარტების კითხვას ბევრი დრო დასჭირდება და ეხლავე შევუდგეთ. რამდენიმე წამით დამშვიდებული საზოგადოება, კიდევ უფრო ახმაურდება. კ. მ. კრინიცკი (ბ-ნ კვირკელიას სტოლთან მიდის): „თქვენ ნება არა გაქვთ თავმჯდომარის ადგილი დაიჭიროთ, როდესაც საზოგადოება არ თანხმდება“ ბ-ნი კვირკელია სავარძელში მაგრად ზის და ზარის წკარუნს განაგრძნობს. ბ. პ. მოსეშვილი (თავზე ხელების მოკიდებით): „ღმერთო ჩემო! ასეთი უსირცხვილო კაცი თუ ქვეყანაზე იქნებოდა, სწორეთ არ მეგონა!“ საზოგადოების ერთი ნაწილი კენჭის ყრას თხოულობს. ბ-ნი ზდანოვიჩი მიდის კვირკელიასთან და ეუბნება: „დავით ბესარიონისძევ! ხომ ხედავთ, საზოგადოება არ წყნარდება“? ბ-ნი კვირკელია ბ-ნ ზდანოვიჩს ხელს ხელზე მიადებს: „გთხოვთ ჩამოგვეცალოთ, ჩვენი საქმე ჩვენ უკეთ ვიცით!“ ბ-ნი ზდანოვიჩი: „ეგ რა ნიშნავს? თუ შეიძლება ხელი გასწიეთ! თავს მეტს ნებას ნუ აძლევთ! თქვენ არ იცით უთუოდ, რომ მე შემიძლიან ეხლავე დაგაცლევინოთ თავმჯდომარის ადგილი“. ყვირილი მატულობს: „გთხოვთ, დავით არჩილის ძევ, გთხოვთ“! უკანასკნელი არ თანხმდება. დ. ა. ნაზაროვი გაცხარებული მივარდება სტოლთან: „მიბრძანდით, მიბრძანდით! ადგილი დასცალეთ; არ გვინდებხართ, ნებას არ გაძლევთ! ძალაზე ხომ არაა საქმე“!? და ყოველ სიტყვას სტოლზე ხელის დარტყმით ათავებს. ნახევარ საათით თავმჯდომარე სცლის სავარძელს. ასახელებენ რამდენსამე კანდიდატს, რომელთაგან ზოგი თვითონ არ თანხმდება, ზოგიც საზოგადოებას არა სურს. ბოლოს დ. ნ. ჩიკვაიძე ასახელებს ექიმს ნ. გ. პეპინაძეს. საზოგადოება თანხმდება და ბ-ნი პეპინაძეც თავმჯდომარის სავარძელს იჭერს. მდივნად ირჩევენ დ. ნ. ავალიანს.

თავმჯდომარე კითხულობს ფინანსთა მინისტრის განკარგულებას, რომელშიაც ნაჩვენებია ის ვითომდა შეცდომები (упущенія), რომელიც მთავრობისაგან დანიშნულ რევიზორს აღმოუჩენია ბანკის საქმეებში, და შემდეგ ის ღონისძიებანი, რომელნიც გამგეობამ უნდა იხმაროს ამ შეცდომების მალე გასასწორებლად. შემდეგ თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე კითხულობს რევიზიის ანგარიშს, რომელიც $1^{1}/_{2}$ საათს გაგრძელდა. ამ ანგარიშში იგივე შეცდომებია ნაჩვენები, მხოლოდ—რასაკვირველია—დაწვრილებით, რაც ბ-ნ მინისტრის განკარგულებაში. ცოტა შესვენების შემდეგ ამას მოჰყვა გამგეობის ვრცელი განმარტება, სადაც რევიზორისაგან ნაჩვენები შეცდომები მუხლებადაა დაყოფილი და ყველა ისეა ახსნილი, რომ სრულიად აკმაყოფილებს საზოგადოებას. უმთავრესი დანაშაული გამგეობას იმაში ედება, რომ მას 400,000 მანეთამდის მიუცია სესხი ჭიათურის მრეწველებისთვის და გირაოდ შავი-ქვა აუღია, რომელსაც ეხლა ფასი დაცემული აქვს; მაგრამ, როგორც გამგეობის განმარტებიდანა სჩანს, შავი-ქვის ფასი კიდევ უფრო რომ დაეცეს, ვალს მაინც გაისტუმრებს.

დ. ნ. ჩიკვაიძე თხოულობს, რომ რევიზიის ანგარიში და გამგეობისაგან დაწერილი იმის განმარტება რუსულად და ქართულად დაიბეჭდოს და წევრთ დაურიგდეს გასაცნობად, მაგრამ საზოგადოებამ უარჰყო ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ამას ბევრი დრო დასჭირდება, კრება აღარ შესდგება თავის დროზე და პირველ მარტამდის,—რომელიც უკანასკნელ ვადადაა დანიშნული ბ-ნ მინისტრისაგან განმარტების წარსადგენად,—ვერ მოვასწრებთ მის განხილვასაო.

შემდეგ იგივე დ. ნ. ჩიკვაიძე, ნ. ელიავა და დ. ბ. კვირკელია წინადადებას იძლევიან, რომ არჩეულ იქმნეს კომისია და მას მიენდოს ამ საქმის განხილვა; შემდეგ მოწვეულ იქმნეს საგანგებო კრება და მოხსენდეს კომისიის დასკვნა. საზოგადოებამ ეს წინადადებაც იმ მოსაზრებით უარჰყო, რომლითაც პირველი, თან ისიც დაუმატეს: „გამგეობისა და საბჭოს წევრთ მთელი საზოგადოება—ხუთასი კაცი—ირჩევს; თუ ამ ათ კაცს, რომელნიც ბანკის საქმეებთან დაახლოვებულნი არიან, არ ვენდობით, მაშინ როგორ უნდა ვენდოთ სამის კაცისაგან შემდგარს კომისიას, რომელიც ბანკის საქმეებს ვერ იცნობს დაახლოვებით, და რომელიც საზოგადოების მხოლოდ ერთის მეხუთედ ნაწილისაგან იქმნება შემდგარიო.

კრებამ თითქმის ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქმნეს გამგეობისა და საბჭოს მიერ წარმოდგენილი განმარტება და დაევალოს, რომ მიიღონ ზომები რევიზორისაგან ნაჩვენებ ზოგიერთ შეცდომების გასასწორებლად; გარდა ამისა დაევალოს გამგეობას, აღძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რომ ა) ის ზარალი, რომელიც მდგომარე წელს უნდა დაფარულიყო, სამის წლის განმავლობაში დაიფაროს, და ბ) ვადა გასულ ვექსილების გასანაღდებლად 1904 წლის პირველ იანვრის მაგივრად დაინიშნოს 1905 წლის პირველი იანვარი. კრება ნაშუაღამევის მეორე საათზე დაიშალა.

დონ-ვადიანი.

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგანგებო კრება

კვირას, 12 იანვარს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ-ნ ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით მოხდა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგანგებო კრება, რომელიც წარსულ წლის 29 დეკემბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, გადაიდვა. კრებაზე, არ ვიცით რა მიზეზისა გამო, ეხლაც ნაკლები წევრთა რიცხვი გამოცხადდა, მაგრამ კრება, როგორც გადადებული, თავმჯდომარემ კანონიერად ჩასთვალა.

პირველად კრებას მოხსენდა წარსულ წელში მომხდარ რევიზიის ანგარიში, რომელიც გამოგზავნილი იყო ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, და შემდეგ ბანკის გამგეობის მოხსენება. კრებამ დაწვრილებით მოისმინა როგორც რევიზიის საყურადღებო ანგარიში, ისე ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თავ. ან. ერისთავის მიერ წაკითხული ვრცელი მოხსენება ყველა იმ საგნების შესახებ, რომელიც რევიზიის ანგარიშში იყო მოხსენებული. რევიზიის ანგარიშისა და გამგეობის მოხსენების შემდეგ, კრებამ ერთხმად დაადგინა: გამგეობამ შემდეგში იხელმძღვანელოს ყველა იმ წესებით, რომელიც სარევიზიო ანგარიშ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2040.

შა აღნიშნული. ამასთანავე კრებამ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება და დაადგინა წარედგინოს იგი ფინანსთა სამინისტროს.

ი. იანეთიძე.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ქალაქის საბჭოს 13 იანვრის სხდომაზე ჩვენმა ძველმა და ახალმა „მამებმა" კინაღამ „ისახელეს" თავი უმაგალითო დადგენილებით. მაგრამ ამაზე ქვემოდ, ჯერ აღვნიშნოთ სხვა განხილული საქმეები.

პირველად საბჭოს მოხსენდა ი. ფ. ტხორჟევსკის განცხადება ხმოსნობაზე უარის თქმის შესახებ. საბჭომ შეიწყნარა ბ. ტხორჟევსკის თხოვნა და დაადგინა მის მაგიერ ხმოსნად ჩაირიცხოს კანდიდატი ნ. ა. გრიქუროვი.

საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია ხმ. სულხანოვი საბჭოს წარმომადგენლად სახაზინო პალატაში. გამოირკვა, რომ ბ-ნი სულხანოვი, რომელიც დამზღვევ საზოგადოების „ნადეჟდა"-ს აგენტად არის, არ იქმნა დამტკიცებული, იმიტომ რომ ხსენებული საზოგადოება არ იხდის გაწერილ ხარჯსა. საბჭომ დაადგინა მოსთხოვოს სულხანოვს ცნობები ამ გარემოების შესახებ და მხოლოდ მაშინ იქონიოს მსჯელობა ამ საგანზე.

კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ იმის შესახებ, რომ სამხედრო უწყებასა და მიხეილის სავადმყოფოს დაუთმოს ნავთლუღში ქალაქის მიწა სასაფლაოს გასაფართოვებლად. საბჭომ სამართლიანად დაინახა, რომ ქალაქის მიწების დათმობა მძიმე საქმეა და შინაურულად არ უნდა ჰხდებოდეს; საჭიროა საბჭომ დაწვრილებით იცოდეს ამგვარ საქმის გარემოებანი და ამიტომ ასეთი მოხსენებანი უნდა იბეჭდებოდეს და წინადვე უნდა ურიგდებოდეს ხმოსნებსა. საბჭომ, ამ მოსაზრების ძალით, ხსენებულ საქმის გადაწყვეტა გადასდვა მოხსენების დაბეჭდვამდე.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა გამგეობის განცხადება, რომლითაც მას გაუცია დაწვრილებული მოწმობები ტრაქტირების გახსნის შესახებ. ამ მოხსენებით, რასაკვირველია, ისარგებლა ხმ. ხუდადოვმა და აღძრა საკითხი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ხმოსანი საჭიროდ სთვლიდა, რაც შეიძლება ნაკლებად გაიცეს მოწმობები ტრაქტირის დაარსებაზე, რათა ამ გზით წინააღმდეგობა გაეწიოს ლოთობასა. საბჭომ გამგეობის მოხსენება დაამტკიცა, ხოლო ხმ. ხუდადოვის წინადადების განსახილველად, თანახმად ხმ. თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის აზრისა, დაადგინა არჩიოს კომისია და დაავალოს მას ტრაქტირების გახსნისათვის სავალდებულო დადგენილებათა შედგენა.

საბჭომ, მცირეოდენის კამათის შემდეგ, ერთხმად მიიღო ხმ. ა. ნ. ფურცელაძის წინადადება იმის შესახებ, რომ რუსთა გამოჩენილ პოეტის ნეკრასოვის ხსენების აღსანიშნავად მისი სახელი ეწოდოს ქალაქის ერთ-ერთ ქუჩასა და ერთ-ერთ საქალაქო სკოლას.

ბოლოს საბჭო შეუდგა იმ საქმის განხილვას, რომლითაც, როგორც თავშივე ვსთქვით, კინაღამ თავი შეირცხვინა და საქვეყნოდ სალაპარაკოდ გახდა. საქმე აღძრა გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. იმან წინადადება წარუდგინა საბჭოს—საჭიროა ქალაქმაც აღნიშნოს რამე კეთილის საქმით ღირს-შესანიშნავი დღე რუსეთის პრესსის 200 წლის იუბილეისა. „ამ დღეებში,—სთქვა თავ. ჩერქეზიშვილმა,—შესრულდა 200 წელიწადი, რაც რუსული პრესსა არსებობს. პრესსის ღვაწლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე იმდენად დიდია, რომ ურიგობა იქმნება უყურადღებოდ დავსტოვოთ იმის დღესასწაული და რამე კეთილის დაწესებულებით არ აღვნიშნოთ იგი, მით უმეტეს, რომ მწერლობამ დიდი სამსახური გაუწია საქალაქო თვით-მმართველობის განვითარებას. რადგანაც ბეჭდვითი საქმის მოღვაწენი უმთავრესად ღარიბნი არიან, ამიტომ, ჩემის აზრით, საუკეთესო იქმნება გადავსწყვიტოთ: დავაარსოთ ტფ. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში ორი სტიპენდია პრესსის ღარიბ მოღვაწეთა (ლიტერატორთა და ასოთ-ამწყობთა) შვილების აღსაზრდელად და მივუჩინოთ აგრეთვე მოღვაწეს ერთი კრაოტი მიხეილის სავადმყოფოში. გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია ხელ-ახლავ აღვძრათ შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცეს გამოვსცეთ ყოველკვირეული გაზეთი „დუმსკია იზვესტია". წინად ამის ნებართვა არ მოგვცეს, მაგრამ ახლა სხვა ქალაქებს მისცეს და, უეჭველია, ჩვენც მოგვანიჭებენ ამ უფლებას." საბჭომ ერთხმად მიიღო თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის აზრი სტიპენდიებისა და კრაოტის შესახებ, „დუმსკ. იზვ."-ის გამოცემის შესახებ კი ხანგრძლივი კამათი გამართა. აღმოჩნდნენ ხმოსნები, რომელნიც, პრესსის იუბილეის დღეს, წინააღუდგნენ გაზეთის დაარსების საჭიროებას.

ხმ. ხატისოვი მჭევრმეტყველურად ამტკიცებდა, რა საჭიროა განსაკუთრებული გაზეთი ვქონდეთ, როდესაც ტფილისში რამდენიმე გაზეთი არსებობს; სხვა რომ არა იყოს-რა, თანამშრომლებსაც ვერ ვიშოვნითო! ხმ. ი. მ. ლოლუხანოვი ამბობდა: „არ მესმის სწორედ—რა გაზეთი იქმნება ჩვენი გაზეთი? როგორ შეიძლება 2000 მანეთად გაზეთის გამოცემა? ეს რაღაც საცოდავი გამოცემა იქმნება!" ხმ. ა. ს. ფირალოვი ამტკიცებს—ეს რაღაც კურიოზული გამოცემა იქმნება; სჯობს ეს საქმე კომისიას გადავცეთ დაწვრილებით განსახილველადაო. გაზეთის გამოცემის დამცველად გამოვიდნენ ხმოსნები ბ. ბ. ევანგულოვი, ა. ს. ბაბოვი და ზოგი სხვაც, რომელნიც სამართლიანად ადარებდნენ საბჭოს—სირცხვილია: პრესსის იუბილეის აღნიშნავზე გვაქვს დაპირაკი და სწორედ ახლა უარვყოთ გაზეთის დაარსების საჭიროებაო; ვგონა ქალაქი მოწადინებულია ამ ჟამად გაზეთი გასცენოს და სხვა. დიდის კამათის შემდეგ საბჭომ კენჭი უყარა ამ საქმესა და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა საკუთარ გაზეთის გამოცემის ნება-რთვის შესახებ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 იანვარი.

ერივანი. 12 იანვარს ერევნის გზაზე საფოსტო მატარებელი გადასცდა ლიანდაგს და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

კიევი. სწავლის გასათავებელი ეგზამენები საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში 14 იანვარს დაიწყება. ფინანსთა მინისტრმა საეგზამენო კომისიის წევრად დანიშნა მენდელეევი.

ურალსკი. იმ დეპეშაზე, რომელიც უმაღლესად გაეგზავნა გენერალ სტაროსელსკის-მიერ ხელმწიფე იმპერატორს და რომლითაც აცნობა, 80 კაზაკი ზღვამ წაიღო, ყინულზე მუშაობისას, ხელმწიფე იმპერატორმა დააწერა: „მიღებულ იქმნეს ყოველივე ღონის ძიება საბრალოთა გადასარჩენად"-ო.

ბერლინი. დიდით კრონ-პრინცი მოვიდა.

ვინტერსლორი. ფედერალისტი მეამბოხეთა ბურთ თხოვნით, ახალი მთავრობის ხელში; ისევე თითქმის მოქალაქენი, როგორც წინანდელ მთავრობის ხელში.

ფეცი. ტახტის მაძიებელი ქალაქს უახლოვდება დიდძალის ჯარით. მოწინააღმდეგეთა ჯარი ფეცზე მხოლოდ 25—30 მილით არის დაშორებული. ჰფიქრობენ, დიდი ბრძოლა მოჰხდებაო.

ფილიპოპოლი. სომეხთა პატრიარქის მოკვლის განზრახვას პოლიტიკური აზრი არ ჰქონდა სრულიად, თუმცა ზოგიერთ სომეხს ამით საბაბი მიეცა, დაეწყოთ ლაპარაკი ოსმალთა-მოძულარობის შესახებ.

პეტერბურგი. 12 იანვარს, „სათავად-აზნაურო საკრებულოში", ანდრიაწელთა სასარგებლოდ გამართა კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატრიცანი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

14 იანვარი.

ფილიპოპოლი. ოსმალეთის მთავრობამ შეიპყრო სამხრეთ-დასავლეთის ბევრი მაჰმადიანი, რომელიც ძარცვა-გლეჯით და ძალმომრეობით დიდად აწუხებდა მაჰმადიანებსაც და ქრისტიანებსაც.

სალონიკსა და სტამბოლს შუა გაყვანილ რკინის გზაზე მომავალ მატარებელს თავს დაესხნენ ბოროტ-განმზრახველნი, რომელთაც სურდათ მატარებლის დაღუპვა.

ფილიპოპოლი. ადრიანოპოლის ვილაიეთში, კირკილისის მახლობლად გაჩნდა რამდენიმე შეიარაღებული ბრბო.

ფილიპოპოლი. შემსი-ფაშის რაზმის ექსპედიციამ, რომელიც პრიზრენიდან გაიგზავნა დამნაშავე არნაუტების შესაპყრობად, უნაყოფოდ ჩაიარა.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის გაზეთის „ნიუ იორკ ჰერალდის" ცნობით, პუერტო კაბელლოდან ორმოცი ვერსის მანძილზე მეამბოხეებმა დაამარცხეს პრეზიდენტ კასტროს ჯარები.

ვაშინგტონი. ბოუენის, ინგლისის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენლებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთს შორის ბლოკადის გაუქმების შესახებ. ბოლოს გადაწყვიტეს შემდეგი: როდესაც ბოუენი და სახელმწიფოთა წარმომადგენელნი შეთანხმდებიან სახელმწიფოთა მოთხოვნილებებზე, ბლოკადა მაშინვე გაუქმდება. რაც შეეხება გარანტიას, ვენეცუელა სთმობს სადამოჟნო შემოსავლის ნაწილს ლა-გუაირისა და პუერტო-კაბელლოში.

ბერლინი. პარიზიდან იუწყებიან, რომ ბევრი ბანკები მზადაა მაროკკოს მთავრობას 7 მილიონი ფრანკი ასესხოს ოთხის წლის ვადით.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატამ მიიღო ბრიუსელის შაქრის კონვენცია.

პეტერბურგი. პრიამურსკის ოლქის სამხედრო გუბერნატორი დაინიშნა ამურის იქეთა ოლქის სამხედრო ჯარის უფროსად.

ჩერნიგოვის გუბერნატორი ანდრეევსკი დაინიშნა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი სამმართველოს უფროსად.

სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარი გოლუბევი დაინიშნა მისი უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის უფროს მმართველის ამხანაგად.

ტაინი-სოვეტნიკი გოლუბევი ინიშნება ფინანსთა სამინისტროს აგენტად ბერლინში.

14 იანვარი

ჯიბუთი. გუბერნატორმა ცნობა მიიღო, რომ მენელიკი ჯერ არ მომკვდარა.

ტულა. რიაზან-ურალის რკინის გზის სადგურ ბობრინსკის-დანკოვის ახლო საქონლის მატარებელი ხიდიდან გადავარდა. მაშინისტი, მისი თანაშემწე და ერთი მუშა მძიმედ არიან დაჭრილნი; უფროსი კონდუქტორი გარდაიცვალა.

ფილიპოპოლი. გამოირკვა, რომ სიად-ფაშამ უფრო მეტი თავისუფლება თხოულობდა თავისის მოქმედებისათვის, აგრეთვე მინისტრების მოქმედების მეტ კონტროლსა და, რადგან ჰხედავდა, რომ ამას სულთანი არ დაეთანხმება, სამსახურიდან გადადგა.

სოფია. ფინანსთა მინისტრმა წინადადება შეიტანა, მიხედ-ფეს საქონელზე ბაჟი აიხსნას.

ფილიპოპოლი. ჯელომ-ბეი ავლონიდან იტალიას გაიქცა იტალიის გემით, თუმცა ოსმალები დაეწივნენ დასდევნენ. დიდი მითქმა-მოთქმაა ამ ამბის გამო.

პარიზი. გაზეთ „სოლეილ"-ში ჟურნალისტი დელეუ, შესახებ წიგნისა „რუსეთი და ფინლანდია" სწერს: ფინლანდიის საქმეთა შესახებ საკითხი—ძირეული დრუნველია, რომლითაც ფრანგ-რუსთა კავშირის დაბნელება უნდოდათ. ფინლანდიის ხალხს საეჭვო მომხრენი ჰყავთ საფრანგეთში და იმის საქმეებს ხელს უშლიან.

მიუნხენი. იმპერატორის დაბადების დღის გამო პრინც ლიუდვიგმა სიტყვა წარმოსთქვა: მოიგონა ის დრო, როცა იმპერატორმა ნიურნბერგის მუზეუმი დაათვალიერა და აღნიშნა, გერმანიის ხალხმაც მიიღო მონაწილეობა ამ მუზეუმის აგებაში; ყველანი ერთგულნი ქვეშევრდომნი ვართ მონარქისა და ყველას გერმანიის იმპერიის ერთგულ მოქალაქედ გვინდა ვიყოთო.

მადრიდი. გაზ. „იმპარსიალ"-ი იუწყება, რომ ტახტის მაძიებელი ფეცზე ძლიერ ახლოს არისო. სულთანის ჯარი ცდილობს გვერდიდან თავს დაეცეს.

კალკუტა. სულთანის სამფლობელოს განსასწორებლად წასულმა ინგლისის ექსპედიციამ ავდანის სამფლობელო გაიარა და კანაის მიაღწია. ამბობენ, ავღანის ემირს ინდოეთის ვიცე-კოროლის სანახავად წასვლა უნდაო.

ვენა. იმ ხმების უარსაყოფელად, ვითომც შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შუა საქმის შესახებ ჰააგის საშუალებით სასამართლოს განაჩენი 2 მილიონი ფრანკი დაჯდა, ამ სასამართლოს წევრმა პროფესორმა ლამაშმა გამოაცხადა, რომ ეს განაჩენი 130 ათასი ფრანკი დაჯდა, გარდა იმ ხარჯებისა, რომელიც ორსავე სახელმწიფოს აგენტებზე დაეხარჯათო.

პეტერბურგი. გერმანიის იმპერატორის დაბადების დღის გამო საზამთრო სასახლეში საუზმე გამართა ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, ხელმწიფე მემკვიდრის და გერმანიის საელჩოს წევრთა თანადასწრებით. ხელმწიფემ გერმანიის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

15 იანვარი

პეტერბურგი. დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის რესკრიპტით დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული სამის წლით დაინიშნა პეტერბურგის ბავშვთა თავშესაფრების საბჭოს თავმჯდომარედ.

კიევი. ფინანსთა მინისტრის მოხსენებისთანახმად ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ 50 ათასი მანეთი შემწეობა მიეცეს ხაზინიდან სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლების გამავრცელებელ კავშის საზოგადოებას.

ხარბინი. რკინის გზის ვაგონში, ხარბინიდან 24 ვერსტის სიშორეზე, ათმა ხუნხუზმა დაჰსწრა 7 ჩინელი; ავაზაკებმა ბევრი მგზავრი გაძარცვეს და შემდეგ მატარებლიდან ჩამოხტნენ და მიიმალნენ.

ბანგკოკი. საფრანგეთ-სიამის შეთანხმების რატიფიკაცია 17 მარტამდის გადიდვა.

ტანჟერი. ფეციდან მოსულ ცნობებით, სულთანის ჯარმა დაიჭირა გამაგრებული პოზიციები ქალაქის ახლო.

ლონდონი. ლინჩს, სიკვდილით დასჯის მაგიერ, სამუდამო დატყვევება მიუსაჯა.

კონსტანტინოპოლი. სულთანმა ბრძანა ტელეგრაფი გაავლონ რუსეთის საზღვარზე მცირე აზიაში და შეუერთონ იგი ოსმალეთის მთავარ ტელეგრაფს.—სკუტარის ვალის ებრძანა დაამთავროს ტელეგრაფის გაყვანა ჩერნოგორიის საზღვარზე და აგრეთვე გააძლიეროს სადარაჯო რაზმები.

ვაშინგტონი. ხმა არის, რომ ბოუენმა განუცხადა მინდობილობით, ადუთქვა სახელმწიფოებს 30% სადამოჟნო შემოსავლისა პუერტო-კაბელლოსა და ლა-გუაირაში.

ლონდონი. სულით ავადმყოფთა სავადმყოფოში, დილის 5 ს. 20 წ., ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა შენობის განყოფილება, სადაც 600 კაცი იმყოფებოდა; ამათგან დაიღუპა 60 კაცი; ამბობენ ბევრი ავადმყოფი გაიქცაო; მათგან ჯერ ვერავინ იპოვეს.

სტოკჰოლმი. შვეციისა და ნორვეგიის მინისტრთა შეერთებულ კრებაზე კრონპრინცმა სახელმწიფოს რეგენტობა მიიღო.

პეკინი. სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ამზადებენ პასუხს ჩინეთის უკანასკნელ ნოტაზე. ნოტაში გამოთქმულია იმის შესახებ, რომ ჩინეთი ვალს ოქროთი აინაზღაურებს.—ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის მისიონერები პროტესტს აცხადებენ იულან-სანის დანიშვნის გამო შანსის გუბერნატორად, რადგანაც დამტკიცდა მისი მონაწილეობა მუკდენში ევროპიელ მისიონერთა დახოცვის საქმეში.

პარიზი. ბიუჯეტის მოხსენება სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გამო 14 იანვარს დაურიგდება პარლამენტს; ის თანაუგრძნობს სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას ორ წლამდე; სამსახური უნდა გაგრძელდეს 22 თვე, რადგან წელიწადში თითო თვით ჯარისკაცნი უნდა დაითხოვონ. მშვიდობიანობის დროს საფრანგეთს ეყოლება 600 ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი; ომიანობის დროს-კი, პირველ ხანშივე, საფრანგეთს ეყოლება ერთ მილიონზე მეტი კაცი. მოხსენებელი მხოლოდ საჭიროდ სთვლის არტილერიის გაძლიერებასა და კავალერიაში სრულის რეფორმის მოხდენას.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

მგზავრთა ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს) 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

Дозв. ценз. Тифлисъ. 15 января. 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).